დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
თამარ ჩხიკვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მზია მახაჭაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ქეთევან ბერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლამარა დარახველიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია ქოქუაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	445564862

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ბათუმი, აჭარა
ფაქტობრივი მისამართი	ბათუმი, დემეტრე თავდადებულის 49
საფოსტო ინდექსი	6010
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://batumi-gimnazia.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	andriapirvelw.skola@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	593144330

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 5 სექტემბრის MES 6 25 0001083633 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 1 და 2 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბათუმი, დემეტრე თავდადებულის 49, პროგრამა ხორციელდება ამ მისამართზე მდებარე ორ შენობაში
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბათუმი, დემეტრე თავდადებულის 49, პროგრამა ხორციელდება ამ მისამართზე მდებარე ორ შენობაში

3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ბათუმი, დემეტრე თავდადებულის 49, პროგრამა ხორციელდება ამ მისამართზე მდებარე ორი შენობიდან ერთ შენობაში

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

დაწესებულებაში ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს 10:00. ვიზიტზე ერთდროულად მივედით თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ექსპერტი და ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

სკოლაში მისულებს, სკოლის წარმომადგენელმა გვიჩვენა ჩვენთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე. გარდა ამისა, სკოლამ საგნობრივ ექსპერტებთან დისტანციურად ჩართვისთვის გამოყო ცალკე სივრცე, რომელშიც ზოგადი განათლების ექსპერტი-წევრი განთავსდა. ვიზიტი ორივე დღეს წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში. დღის წესრიგით განსაზღვრული აქტივობები განხორციელდა ისე, როგორც იყო დაგეგმილი. საგნობრივ ექსპერტებთან მასწავლებლების გასაუბრება ხდებოდა შეთანხმებული განრიგის მიხედვით. ვიზიტის ბოლოს სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შევაჯამეთ გავლილი ვიზიტი, გავაცანით მიგნებები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
1300	1209	*1300*

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის გამორჩეულ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს დამკვიდრებული პრაქტიკა - ოქროსა და ვერცხლის მედალით კურსდამთავრებულებს სკოლა თავადაც გადასცემს ოქროსა და ვერცხლის მედლებს და ამასთან ერთად გადასცემს ერთჯერად ფულად თანხას.

გარდა ამისა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაა მრავალფეროვანი არაფორმალური განატლება, მიმდინარე სასწაცვლო წელსაც სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა მიმართულების (ჰუმანიტარული, stem და სხვა) 20 დასახელების კლუბებსა და წრეებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*

მოსწავლეთა რაოდენობა: ----1300------	☒	
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის*	*სკოლას არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან.*

	ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი N1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და*	*სკოლას ეძლევა რჩევა, რომ რესურსების განყოფილებაში ასევე დაამატოს ინფორმაცია ადამიანური ან/და მატერიალური რესურსის შესახებ.*

	შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** *რჩევა*- ეროვნულ სასწავლო გეგმაში შუალედური მიზანი კომპლექსური დავალება ჩანაცვლებულია შუალედური მიზნის მისაწევი შემოქმედებითი დავალებით (შესავალი. ►ულლი 5.3). სახელმძღვანელოები გრიფირებულია და მასში წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის დავალებები ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე გასვლას. ამიტომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალების გრაფა ჩანაცვლდეს შუალედური შემოქმედებითი დავალებით. შესაბამისად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებების ჩაწერა იმ საკითხებთან რომლებზეც არ არის მოცემული კომპლექსური დავალება. ►ურიკულუმის ჩარჩოს გრაფები შეივსება სათანადო მასალით, უფრო მრავლისმთქმელი გახდება, რაც საბოლოო ჯამში

		დაეხმარება მასწავლებელს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეების მრავალმხრივ განვითარებას. **უცხო ენა** რჩევა- სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში: თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება; კურიკულუმებში ტერმინი "კომპლექსური დავალება" ჩანაცვლდეს "შემოქმედებითი პროდუქტით", რაც მეტად მიესადაგება კურიკულუმში შეტანილ იმ დავალებებს, რასაც რეალურად ახორციელებენ. (ყველა კლასის) მათემატიკა მიეცათ რჩევა, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალების სახელწოდება ჩანაცვლდეს „შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებით", რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გარდა კომპლექსური დავალებისა, კურიკულუმში შეიტანონ სხვა დავალებებიც, რომლებსაც რეალურად ახორციელებენ.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	ესთეტიკური მეცნიერებები

		რჩევა; **1) მუსიკა-დაწყებითი საფეხური I- II კლ.** აღნიშნულ კლასებში შუალედური დავალების პირობა ნაწილობრივ აკმაყოფილებს ამ ტიპის დავალების მოთხოვნებს, ვინაიდან იგი არ შეიცავს ცნებების გააზრებაზე ორიენტირებულ კომპლექსური დავალების განხორციელების შესაძლებლობას. სასურველია დავალების პირობა ჩამოაყალიბოთ იმგვარად, რომ იგი დაეხმაროს მოსწავლეს, უკეთ გაიაზრონ სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, შეუწყოს მაღალ სააზროვნო უნარების განვითარებას. **2) ხელოვნება -დაწყებითი საფეხური :** სასურველია თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება; **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური**: **რჩევა:** სასურველია, დაწყებითი გაგანთელის კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება.

ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** *რჩევა-* ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. შესაბამისად როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის კურიკულუმის ჩარჩოს და ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე დაამატონ რესურსების გრაფაში რომელი საკითხების შესწავლის დროს იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიებს. ასევე კურიკულუმის ჩარჩოში შეიტანონ არაფორმალური განათლების ფარგლებში გამოყენებული რესურსები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** **რჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში საგანში მე და საზოგადოება ძირითად გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად სრულად გაიწეროს ყველა ის დამხმარე რესურსი/ ჰიპერლინკი , რომელიც გამოიყენება შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისას. **უცხოური ენები** **რჩევა:** 1. უმჯობესია, ყველა კლასის კურიკულუმში სრულყოფილად შეივსოს რესურსების გრაფა

		ყველა იმ დამატებითი ელექტრონული რესურსებით, რომლის გამოყენებაც ხდება. **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა** – მუსიკა- დაწყებითი საფეხური; ხელოვნება -დაწყებითი საფეხური; სასურველია, ყველა კლასში, თითოეულ თემასთან მიმართებაში, კურიკულუმების შესაბამის გრაფაში აისახოს ყველა ის დამატებითი ელექტრონული თუ მატერიალური რესურსი , რომელებიც რეალურად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. მათემატიკა: **მიეცათ რჩევა, დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმში სვეტის სახელწოდება: "რესურსები კომპლექსურზე მუშაობისთვის", ჩანაცვლდეს "სასწავლო რესურსებით", ამ უკანასკნელში მიეთითოს ყველა რესურსი, რასაც იყენებენ არა მხოლოდ შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებისათვის, არამედ მთელი თემის დამუშავებისას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** **რჩევა:** სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები.
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები *რჩევა-* ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. შესაბამისად როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე

		დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს და ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს. ურადღებით შეისწავლონ სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და დაგეგმონ ისეთი აქტივობები რომლებიც მოსწავლისთვის დაძლევადი იქნება და ამავე დროს ხელს შეუწყობს მის განვითარებას.
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო** *რჩევა-* გარკვეული პერიოდულობით მოხდეს მოსწავლეების ჩართვა შეფასების კრიტერიუმების განხილვაში და ჩამოყალიბებაში. ის ხელს შეუწყობს რომ მოსწავლეებმა უკეთ გაიაზრონ მათ წინაშე დასახული ამოცანები და შეასრულონ დასახული კრიტერიუმების შესაბამისად. **საზოგადოებრივი მეცნიერებებირჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგანში მე და საზოგადება დაწყებით საფეხურზე, კურიკულუმში გაწერილ დავალებებთან შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ იქნება გამოხატული კრიტერიუმების კავშირი სამიზნე ცნებებთან და ამავდროულად გათვალისწინებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები;

		უცხოური ენები **რჩევა:** 1. შეფასების კრიტერიუმები ეყრდნობოდეს არამარტო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებს, არამედ კონკრეტულ დავალებაზე იყოს მორგებული, რათა მარტივად აღსაქმელი იყოს მოსწავლისათვის. **ესთეტიკური აღზრდა:** **რჩევა მუსიკა- დაწყებითი საფეხური:** სასურველია განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხის შესაბამისად; **სპორტი** **რჩევა:** სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებით საფეხურზე გაიწეროს თითოეული თემიდან გამომდინარე **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები
ინდიკატორი N 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური**

		რჩევა: სასურველია, დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო** ***რჩევა-*** სისტემატიურად გააცნონ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები, რადგან ეს მათ დაეხმარებათ იცოდნენ რა არის წარმატებული შედეგი. თავად მოსწავლეებიც ჩართონ მათ შემუშავებაში. **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა-მუსიკა ხელოვნება- დაწყებითი საფეხური:** სასურველია განმავითარებელი/ განმსაზღვრელი შეფასებების ინსტრუმენტში მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე, თუ შესაქმნელ პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი. განმავითარებელ შეფასებების რუბრიკებში კი დეტალურად აღიწეროს ის , რისი შეფასებაც გაქვთ განზრახული; მათემატიკა: **რჩევა: დაწყებით საფეხურზე** რეიტინგული წერის ტესტებში მიეთითოს ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები

		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური **რჩევა:** სასურველია, აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.
ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	საბუნებისმეტყველო ***რჩევა-*** ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. შესაბამისად როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის კურიკულუმის ჩარჩოს და ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. **უცხო ენები** **რჩევა:** უმჯობესია, დამხმარე სასწავლო რესურსი იყოს მრავალფეროვანი და დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში სრულყოფილად გაწერილი **მათემატიკა** **რჩევა, დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად, პრაქტიკული ამოცანების

		განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსები. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ. **სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სკოლის დაწყებით საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში ცალკე სვეტად არის გამოყოფილი რესურსები, თუ კი ეს სვეტი იქნება წარმოდგენილი, სასურველია რომ სრულყოფილად იყოს შევსებული. ძირითად რესურსში სახელმძღვანელოს სახლთან ერთად მითითებული უნდა იყოს გვერდები შესაბამისი თემის. ვიდეო რგოლებისა და ელექტრონული რესურსების შემთხვევაში აუცილებელია მითითებული იყოს შესაბამისი ლინკები.
ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სახელმწიფო ენა **რჩევა:** სასურველია, სკოლამ სამივე საფეხურზე შეიმუშაოს, წესი დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდირების მიზნით.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*

ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** *რჩევა-* ეროვნულ სასწავლო გეგმაში შუალედური მიზანი კომპლექსური დავალება ჩანაცვლებულია შუალედური მიზნის მისაწევი შემოქმედებითი დავალებით (შესავალი. მუხლი 5.3). სახელმძღვანელოები გრიფირებულია და მასში წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის დავალებები ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე გასვლას. ამიტომ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალების გრაფა ჩანაცვლდეს შუალედური შემოქმედებითი დავალებით. შესაბამისად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებების ჩაწერა იმ საკითხებთან რომლებზეც არ არის მოცემული კომპლექსური დავალება. კურიკულუმის ჩარჩოს გრაფები შეივსება სათანადო მასალით, უფრო მრავლისმთქმელი გახდება, რაც საბოლოო ჯამში დაეხმარება მასწავლებელს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეების მრავალმხრივ განვითარებას. **უცხო ენა** რჩევა- სასურველია: 1. თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება; (საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში) 2. ჩაკორექტირდეს სამიზნე ცნებები ინგლისურისა და რუსული ენების კურიკულუმებში საბაზო საფეხურზე;

		3. კურიკულუმებში ტერმინი "კომპლექსური დავალება" ჩანაცვლდეს "შემოქმედებითი პროდუქტით", რაც მეტად მიესადაგება კურიკულუმში შეტანილ იმ დავალებებს, რასაც რეალურად ახორციელებენ. (ყველა კლასის) მათემატიკა მიეცათ რჩევა, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალების სახელწოდება ჩანაცვლდეს „შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებით", რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გარდა კომპლექსური დავალებისა, კურიკულუმში შეიტანონ სხვა დავალებებიც, რომლებსაც რეალურად ახორციელებენ.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	ესთეტიკური მეცნიერებები **რჩევა; ხელოვნება - საბაზო საფეხური:** სასურველია კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული თემა პასუხობდეს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მა შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**

		რჩევა- ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. შესაბამისად როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს და ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე დაამატონ რესურსების გრაფაში რომელი საკითხების შესწავლის დროს იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიებს. ასევე კურიკულუმის ჩარჩოში შეიტანონ არაფორმალური განათლების ფარგლებში გამოყენებული რესურსები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** **რჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად სრულად გაიწეროს ყველა ის დამხმარე რესურსი/ ჰიპერლინკი , რომელიც გამოიყენება შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისას. **უცხოური ენები** **რჩევა:** 1. უმჯობესია, საბაზო საფეხურის კურიკულუმში სრულყოფილად შეივსოს რესურსების გრაფა ყველა იმ დამატებითი

		ელექტრონული რესურსებით, რომლის გამოყენებაც ხდება. **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა** - მუსიკა- საბაზო საფეხური; სასურველია, ყველა კლასში, თითოეულ თემასთან მიმართებაში, კურიკულუმების შესაბამის გრაფაში სრულყოფილად აისახოს ყველა ის დამატებითი ელექტრონული თუ მატერიალური რესურსი , რომელებიც რეალურად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. მათემატიკა: **მიეცათ რჩევა, საბაზო საფეხურზე** კურიკულუმში სვეტის სახელწოდება: "რესურსები კომპლექსურზე მუშაობისთვის", ჩანაცვლდეს "სასწავლო რესურსებით", ამ უკანასკნელში მიეთითოს ყველა რესურსი, რასაც იყენებენ არა მხოლოდ შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებისათვის, არამედ მთელი თემის დამუშავებისას.
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები *რჩევა*- ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. შესაბამისად როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს და

		ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს. ყურადღებით შეისწავლონ სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და დაგეგმონ ისეთი აქტივობები რომლებიც მოსწავლისთვის დაძლევადი იქნება და ამავე დროს ხელს შეუწყობს მის განვითარებას.
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო** *რჩევა-* გარკვეული პერიოდულობით მოხდეს საბაზო საფეხურის მოსწავლეების ჩართვა შეფასების კრიტერიუმების განხილვაში და ჩამოყალიბებაში. ის ხელს შეუწყობს რომ მოსწავლეებმა უკეთ გაიაზრონ მათ წინაშე დასახული ამოცანები და შეასრულონ დასახული კრიტერიუმების შესაბამისად. შემაჯამებელი დავალებები გახადონ უფრო მრავალფეროვანი, შეარჩიონ აზროვნების მაღალი დონის შემოწმებაზე ორიენტირებული დავალებები. ▯რიფირებულ სახელმძღვანელოებში უხვად არის ამის ნიმუშები. **საზოგადოებრივი მეცნიერებებირჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა საგანში, საბაზო საფეხურზე შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ დავალებებთან შესაბამისი როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,

		რომლებშიც მკაფიოდ იქნება გამოხატული კრიტერიუმების კავშირი სამიზნე ცნებებთან და ამავდროულად გათვალისწინებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები; **უცხოური ენები** **რჩევა:** **1.** საბაზო საფეხურზე შეფასების კრიტერიუმები ეყრდნობოდეს არამარტო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებს, არამედ კონკრეტულ დავალებაზე იყოს მორგებული, რათა მარტივად აღსაქმელი იყოს მოსწავლისათვის. **ესთეტიკური აღზრდა:** **რჩევა მუსიკა- საბაზო საფეხური:** სასურველია განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხის შესაბამისად; **სპორტი** **რჩევა:** სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საბაზო საფეხურზე გაიწეროს თითოეული თემიდან გამომდინარე

ინდიკატორი N 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საბუნებისმეტყველო** *რჩევა-* საბუნებისმეტყველო კათედრას შეუძლია ცალკე დოკუმენტში წარმოდგენილი საბაზო საფეხურის არაფორმალური განათლების აქტივობები (კონფერენციები, კონკურსები, კვლევები) გახადოს უშუალოდ კურიკულუმის ნაწილი, რაც ხელს შეუწყობს რომ სკოლამ წარმოაჩინოს საკუთარი ინდივიდუალობა კურიკულუმის მეშვეობით.
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო** *რჩევა-* სისტემატიურად გააცნონ საბაზო საფეხურის მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები, რადგან ეს მათ დაეხმარებათ იცოდნენ რა არის წარმატებული შედეგი. თავად მოსწავლეებიც ჩართონ მათ შემუშავებაში. ასევე სასურველია მშობელთა კრებებზე მშობლებთან განიხილონ შეფასების სისტემის მიდგომები და პრინციპები. **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა-მუსიკა ხელოვნება- საბაზო საფეხური:** სასურველია განმსაზღვრელი შეფასებების ინსტრუმენტში მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე, თუ შესაქმნელ პროდუქტზე მორგებული შეფასების

		კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი. განმავითარებელ შეფასებების რუბრიკებში კი დეტალურად აღიწეროს ის , რისი შეფასებაც გაქვთ განზრახული; მათემატიკა: **რჩევა: საბაზო საფეხურზე** რეიტინგული წერის ტესტებში მიეთითოს ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები
ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	საბუნებისმეტყველო ***რჩევა-*** ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. შესაბამისად როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს და ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. **უცხო ენები** **რჩევა:** უმჯობესია, დამხმარე სასწავლო რესურსი იყოს მრავალფეროვანი და ყველა კლასის კურიკულუმში სრულყოფილად გაწერილი **მათემატიკა**

		რჩევა, საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად, პრაქტიკული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსები. **სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში ცალკე სვეტად არის გამოყოფილი რესურსები, თუ კი ეს სვეტი იქნება წარმოდგენილი, სასურველია რომ სრულყოფილად იყოს შევსებული. ძირითად რესურსში სახელმძღვანელოს სახლთან ერთად მითითებული უნდა იყოს გვერდები შესაბამისი თემის. ვიდეო რგოლებისა და ელექტრონული რესურსების შემთხვევაში აუცილებელია მითითებული იყოს შესაბამისი ლინკები.
ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სახელმწიფო ენა **რჩევა:** სასურველია, სკოლამ საბაზო საფეხურზე შეიმუშაოს, წესი დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდირების მიზნით.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*

ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** *რჩევა-* ეროვნულ სასწავლო გეგმაში შუალედური მიზანი კომპლექსური დავალება ჩანაცვლებულია შუალედური მიზნის მისაწევი შემოქმედებითი დავალებით (შესავალი. ►უხლი 5.3). სახელმძღვანელოები გრიფირებულია და მასში წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის დავალებები ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე გასვლას. ამიტომ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალების გრაფა ჩანაცვლდეს შუალედური შემოქმედებითი დავალებით. შესაბამისად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებების ჩაწერა იმ საკითხებთან რომლებზეც არ არის მოცემული კომპლექსური დავალება. საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს გრაფები შეივსება სათანადო მასალით, უფრო მრავლისმთქმელი გახდება, რაც საბოლოო ჯამში დაეხმარება მასწავლებელს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეების მრავალმხრივ განვითარებას. **უცხო ენა** რჩევა- სასურველია: 1. თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება; (საშუალო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში) 2. კურიკულუმებში ტერმინი “კომპლექსური დავალება” ჩანაცვლდეს “შემოქმედებითი პროდუქტით”, რაც მეტად მიესადაგება

		კურიკულუმში შეტანილ იმ დავალებებს, რასაც რეალურად ახორციელებენ. (ყველა კლასის) მათემატიკა მიეცათ რჩევა, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალების სახელწოდება ჩანაცვლდეს „შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებით“, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გარდა კომპლექსური დავალებისა, კურიკულუმში შეიტანონ სხვა დავალებებიც, რომლებსაც რეალურად ახორციელებენ.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმი გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევ	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** *რჩევა-* ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. შესაბამისად როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს და ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე დაამატონ რესურსების გრაფაში რომელი საკითხების შესწავლის დროს იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიებს. ასევე კურიკულუმის ჩარჩოში

		შეიტანონ არაფორმალური განათლების ფარგლებში გამოყენებული რესურსები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** **რჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად სრულად გაიწეროს ყველა ის დამხმარე რესურსი/ ჰიპერლინკი , რომელიც გამოიყენება შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისას. **უცხოური ენები** **რჩევა:** 1. უმჯობესია, საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში სრულყოფილად შეივსოს რესურსების გრაფა ყველა იმ დამატებითი ელექტრონული რესურსებით, რომლის გამოყენებაც ხდება. მათემატიკა: **მიეცათ რჩევა, საშუალო საფეხურზე** კურიკულუმში სვეტის სახელწოდება: "რესურსები კომპლექსურზე მუშაობისთვის", ჩანაცვლდეს "სასწავლო რესურსებით", ამ უკანასკნელში მიეთითოს ყველა რესურსი, რასაც იყენებენ არა მხოლოდ შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი

		დავალებისათვის, არამედ მთელი თემის დამუშავებისას.
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები *რჩევა-* ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. შესაბამისად როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს და ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს. ყურადღებით შეისწავლონ სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და დაგეგმონ ისეთი აქტივობები რომლებიც მოსწავლისთვის დაძლევადი იქნება და ამავე დროს ხელს შეუწყობს მის განვითარებას.
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო** *რჩევა-* გარკვეული პერიოდულობით მოხდეს საშუალო საფეხურის მოსწავლეების ჩართვა შეფასების კრიტერიუმების განხილვაში და ჩამოყალიბებაში. ის ხელს შეუწყობს რომ მოსწავლეებმა უკეთ გაიაზრონ მათ წინაშე დასახული ამოცანები და შეასრულონ დასახული კრიტერიუმების შესაბამისად. შემაჯამებელი დავალებები გახადონ უფრო მრავალფეროვანი, შეარჩიონ აზროვნების მაღალი

		დონის შემოწმებაზე ორიენტირებული დავალებები. ▯რიფირებულ სახელმძღვანელოებში უხვად არის ამის ნიმუშები. **საზოგადოებრივი მეცნიერებებირჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა საგანში, საშუალო საფეხურზე შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ დავალებებთან შესაბამისი როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ იქნება გამოხატული კრიტერიუმების კავშირი სამიზნე ცნებებთან და ამავდროულად გათვალისწინებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები; **უცხოური ენები** **რჩევა:** 1. საშუალო საფეხურის შეფასების კრიტერიუმები ეყრდნობოდეს არამარტო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებს, არამედ კონკრეტულ დავალებაზე იყოს მორგებული, რათა მარტივად აღსაქმელი იყოს მოსწავლისათვის. **სპორტი** **რჩევა:** სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საშუალო

		საფეხურზე გაიწეროს თითოეული თემიდან გამომდინარე
ინდიკატორი N 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საბუნებისმეტყველო** *რჩევა-* საბუნებისმეტყველო კათედრას შეუძლია ცალკე დოკუმენტში წარმოდგენილი საშუალო საფეხურის არაფორმალური განათლების აქტივობები (კონფერენციები, კონკურსები, კვლევები) გახადოს უშუალოდ კურიკულუმის ნაწილი, რაც ხელს შეუწყობს რომ სკოლამ წარმოაჩინოს საკუთარი ინდივიდუალობა კურიკულუმის მეშვეობით.
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო** *რჩევა-* სისტემატიურად გააცნონ საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები, რადგან ეს მათ დაეხმარებათ იცოდნენ რა არის წარმატებული შედეგი. თავად მოსწავლეებიც ჩართონ მათ შემუშავებაში. ასევე სასურველია მშობელთა კრებებზე მშობლებთან განიხილონ შეფასების სისტემის მიდგომები და პრინციპები. **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა-მუსიკა ხელოვნება- საშუალო საფეხური:** სასურველია განმსაზღვრელი შეფასებების ინსტრუმენტში მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ კონკრეტულ

		საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე, თუ შესაქმნელ პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი. განმავითარებელ შეფასებების რუბრიკებში კი დეტალურად აღიწეროს ის , რისი შეფასებაც გაქვთ განზრახული; **მათემატიკა:** **რჩევა: საშუალო საფეხურზე** რეიტინგული წერის ტესტებში მიეთითოს ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები
ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საბუნებისმეტყველო** ***რჩევა-*** ვინაიდან საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. შესაბამისად როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის კურიკულუმის ჩარჩოს და ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. **ცხო ენები** **რჩევა:** უმჯობესია, დამხმარე სასწავლო რესურსი იყოს მრავალფეროვანი და საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში სრულყოფილად გაწერილი

		მათემატიკა **რჩევა, საშუალო საფეხურზე** კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად, პრაქტიკული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსები. **სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში ცალკე სვეტად არის გამოყოფილი რესურსები, თუ კი ეს სვეტი იქნება წარმოდგენილი, სასურველია რომ სრულყოფილად იყოს შევსებული. ძირითად რესურსში სახელმძღვანელოს სახლთან ერთად მითითებული უნდა იყოს გვერდები შესაბამისი თემის. ვიდეო რგოლებისა და ელექტრონული რესურსების შემთხვევაში აუცილებელია მითითებული იყოს შესაბამისი ლინკები.
ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სახელმწიფო ენა **რჩევა:** სასურველია, სკოლამ საშუალო საფეხურზე შეიმუშაოს, წესი დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდირების მიზნით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

*ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებულ იქნა ყველა ხარვეზთან მიმართებაში, ერთის გარდა. შედეგად გამოვლენილი ხარვეზებიდან იმ ერთი ინდიკატორის გარდა გადავიდა სრულ შესაბამისობაში (**1.2.1.2. და 3.1.2.3.** ინდიკატორები). მესამე ინდიკატორში **3.4..1.1. ორი ხარვეზი** ფიქსირდებოდა **ერთი ხარვეზი** სკოლამ დააკმაყოფილა წამოადგინა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (იხ. ინდიკატორის აღწერა), მაგრამ **მეორე ხარვეზი**, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ უწყებასთან, სკოლამ ვერ წარმოადგინა, რადგან სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში წარდგენის მომენტისთვის ვერ მოასწრო აღნიშნული გეგმის შეთანხმება. მართალია შესაბამისობის გეგმით სკოლა იტყობინებოდა, რომ 2025 წლის 22 ოქტომბერს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გააგზავნა წერილი და პასუხს 30 ოქტომბრისთვის ველოდებიო, მაგრამ რეალურად გაგზავნილი წერილი ეხებოდა სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის შემოწმებას და არა საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმებას. ამის გამო ხარვეზი რჩება მოუგვარებელი.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას *გააზრებული* აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლას (შემდგომში „სკოლა“) შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიასა და ხედვაში ასახულია სკოლისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას ხედვით განსაზღვრული აქვს <u>შეუქმნას მოსწავლეს უწყვეტი განათლებისათვის საჭირო უსაფრთხო და ინკლუზიურ გარემოს</u>. ამასთან მისიით გაცხადებულია, რომ სკოლა <u>სთავაზობს მოსწავლეებს ზნეობრივი, ინტელექტუალური და ფიზიკური განვითარებისათვის შესაბამის პირობებს</u>. ამ მიზნების შესრულება გარანტიას ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ მისიის ამჟამინდელი ვერსია დაამტკიცა 2021 წლის 10 მარტს (ბრძანება N 01-03/31), მაგრამ მაგრამ, რადგან მისი მიღების პროცესში არ იყო ჩართული სასკოლო საზოგადოების ფართო ნაწილი გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო წლის დასასრულს შეემუშავებინა სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. სკოლამ ამ მიზნით სკოლამ გააფართოვა მანამდე არსებული სტრატეგიული განვითარების ჯგუფის შემადგენლობა (ბრძანება N01-03/49, 21.06.2024 და ბრძანება N01-03/63, 12.09.2025),

რომლის შემადგენლობაში შედიან სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელი, რომლებმაც შეიმუშავეს და ფართო სასკოლო საზოგადოებას წარუდგინეს სკოლის ფილოსოფიის ახალი ვერსია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების სკოლის ფილოსოფიის შემუშავება/გაზიარების გამოკითხვის კვლევაში ჩართულობის დამადასტურებელი „ეკრანული ანაბეჭდები" (Screenshot). შემუშავების პროცესში სკოლის მისია უცვლელი დარჩა თუმცა შემუშავდა ახალი ხედვა და ღირებულებები, რომელიც დაამტკიცა სკოლის დირექტორმა 2024 წლის 2 აგვისტოს (ბრძანება N01-03/66).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ვებ გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის დასახელება „ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა" შეესაბამება მის სტატუსს და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- კვლევის დამადასტურებელი ეკრანული ანაბეჭდები (Screenshot);
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- სკოლის ვებგვერდი - https://batumi-gimnazia.edu.ge/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ორი დოკუმენტი, რომელიც სტრატეგიულ დაგეგმვასა და მონიტორინგის პროცესებს აღწერს. ისინი რიგ სემთხვევაში დუბლირებენ გარკვეულ რეგულაციებს და ავსებენ ერთმანეთს. „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი - სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“ - შემდგომში **„მეთოდოლოგიის წესი“** (ბრძანება N01-03/67, 06.08.2024) და „სკოლის სტრატეგიული განვითარების, სამოქმედო და სასკოლო სასწავლო გეგმების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი“ - შემდგომში **„მეთოდოლოგიის დოკუმენტი“** (ბრძანება N01-03/71, 15.08.2024), რომლებშიც ჩაწერილია, რომ „სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ან/და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას“. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომლის დაგეგმა/განხორციელება ციკლური პროცესია და ეფუნება წინარე გამოცდილებას, SWOT ანალიზებსა და სხვადასხვა კვლევებით მოპოვებულ ინფორმაციას. თუმცა სტრატეგიული გეგმა 6-წლიანია და არა 7 წლიანი. ამის შესახებ სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ არ შეცვალეს 6-წლიანი 7-წლიანად, რადგან იფიქრეს, რომ ბოლომდე დაასრულებდნენ ამ სტრატეგიულ გეგმას და შემდეგ მიიღებდნენ 7-წლიან გეგმას. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი განეხორციელებინა ცვლილება სტრატეგიულ გეგმაში, რადგან **„მეთოდოლოგიის წესის“** მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა უნდა იყოს 7 წელწადში ერთხელ, ამავე მუხლის მე-12 პუნქტი, ისევე როგორც მეორე, **„მეთოდოლოგიის დოკუმენტის“** პრეამბულა, მიუთითებს, რომ სტრატეგიული გეგმაში ცვლილებების შეტანა დასაშვებია საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე. ასეთი საკანონმდებლო ცვლილება კი განხორციელდა კიდეც, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში, როდესაც **სტანდარტის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ სტრატეგიული გეგმა იყოს 7-წლიანი**. ამიტომ, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იყო დასკვნის პროექტში.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა ვიზიტის შემდგომ შემუშავებული და დამტკიცებული 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შემუშავებულია SWOT ანალიზებსა და სხვადასხვა კვლევით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლაში ყველა პროცესი (მათ შორის სტრატეგიული დაგეგმვაც) ეფუძნება დემინგის (PDCA) ციკლას, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის ციკლურობასაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ საავტორიზაციო დოკუმენტაციის დროს წარმოდგენილი 2024/25 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რადგან საავტორიზაციო დოკუმენტების გადმოგზავნის დროს ჯერ არ ჰქონდათ დაგეგმილი ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ვიზიტის დროს სკოლას უკვე ჰქონდა დამტკიცებული 2025/26 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. სკოლამ შეცვლილი სტრატეგიული გეგმის საფუძველზე (იხ. წინა ინდიკატორის აღწერა)კორექტირება გაუკეთა ერთწლიან სამოქმედო გეგმასაც და ცენტრში გადმოაგზავნა სტრატეგიულ გეგმასთან ერთად. კორექტირებული სამოქმედო გეგმაც შესაბამისობაშია 7-წლიან სსტრატეგიულ გეგმასთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ საავტორიზაციოდ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არის 2024/2025 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, ამოცენების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები. რესურსებში სკოლას მითითებული აქვს ინფორმაცია საჭიროებს თუ არა ესა თუ ის აქტივობა ფინანსურ რესურსს და რომ ეს რესურსი, თუ საიროა, რომ ფინანსდება სკოლის ბიუჯეტიდან. **სკოლას ეძლევა რჩევა, რომ რესურსების განყოფილებაში ასევე დაამატოს ინფორმაცია ადამიანური ან/და მატერიალური რესურსის შესახებ.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- დირექტორის ბრძანება „სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი „შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის განხილვის შესახებ“;
- სტრატეგიული გეგმა (2020 -2026 წწ);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024/25 სასწავლო წლები);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025/26 სასწავლო წლები);
- სტრატეგიული გეგმა (2025-2032);
- კორექტირებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025/26 სასწავლო წლები).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

„მეთოდოლოგიის წესის“ მე-12 მუხლის მიხედვით სკოლა სამოქმედო გეგმების მონიტორინგს ახორციელებს ივნისის თვეში, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელებაც. აღნიშნულ პროცესს ახორციელებს ხარისხის მართვისა და მონიტორინგის ჯგუფი. აქვე განმარტებულია, რომ მონიტორინგის დროს ჯგუფი აგროვებს მონაცემებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ხოლო შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების საფუძველზე ანალიზების გაკეთებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. რაც შეეხება სტრატეგიულ გეგმას, მისი მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სამ წელწადში ერთხელ, რომელიც ფორმდება ანგარიშის სახით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ჩაწერილია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო წლის ბოლოს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშების საფუზველზე, რის შემდეგაც სამოქმედო გეგმაში კეთდება მინიშნებები: „შესრულდა“, „არ შესრულდა“; „ნაწილობრივ შესრულდა’. სკოლამ ნიმუშად წარმოადგინა ბოლო ორი წლის მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანებები, სამოქმედო გეგმების ანგარიშები და სამოქმედო გეგმაზე გაკეთებული მინიშნებები შესრულების/არ შესრულების/ნაწილობრივ შესრულების შესახებ. გარდა ამისა სკოლას გაკეთებული აქვს სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური მონიტორინგი და შედეგები ატვირთული აქვს სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის ვებ-გვერდზე ატვირთულია სამოქმედო გეგმის 2024-2025 სასწავლო წლების შესრულების შესახებ ანგარიში. ასევე ატვირთულია 2020-2026 წლენბის სტრატეგიულ გეგმის შუალედური ანგარიში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

2025 წლის პედაგოგიურ საბჭოს ოქმის დღის წესრიგიდან ჩანს, რომ გამოტანილია საკითხი, რომელიც შეეხება 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების განხილვას ოქმში მითითებულია, რომ ითვალისინებენ გასული წლის გამოცდილებას მიმდინარე სამოქმედო გეგმის შედგენისას. ოქმში აღნიშნულია, რომ მომხსენებელმა ისაუბრა თუ რა შესრულდა სამოქმედო გეგმიდან და რა ვერ შესრულდა, ასევე ისაუბრა იმ რეკომენდაციებზე, თუ რა შეუწყობდა ხელს იმ აქტივობის შესრულებას, რაც ვერ შესრულდა. მონიტორინგის ანგარიში პედაგოგებზე წინასწარ იყო მიწოდებული. ამავე ოქმში ასევე განიხილეს საკითხი - 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებაის შესახებ. აქედან ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას შემდგომი დაგეგმვისას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი 2024-2025 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგზე;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი 2025-2026 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცებაზე;
- მონიტორინგის ანგარიში 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებაზე;
- მონიტორინგის შუალედური ანგარიში 2020-2026 სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე;
- სკოლის ვებ-გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას განსაზღვრული აქვს მართვის სტრუქტურა. დამტკიცებული აქვს სამსახურებრივი ინსტრუქციები (ბრძანება N01-03/03, 19.09.2019), რომელშიც გაწერილია სტრუქტურული პირებისა და თანამდებობების უფლება მოვალეობები, გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების (პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, ბიბლიოთეკის და სხვა) დებულებები. ამასთან ერთად, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გაწერილია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. გარდა ამისა სკოლის ზოგიერთი სტრუქტურულ ერთეულების ორგანიზაციის მართვა-გამგეობას მიკუთვნებული უფლება მოვალეობა გაწერილია სკოლის წესდებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები მიემართება და ხელს უწყობს სკოლის ძირითადი, დამხმარე და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებას. პასუხისმგებლობები კარგადაა განაწილებული და მათი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- სკოლის სტრუქტურა;
- სკოლის სამსახურებრივი ინსტრუქციები და მისი დამტკიცების ბრძანება;
- პედსაბჭოს დებულება;
- დისციპლინური კომიტეტის დებულება;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის შინაგანაწესში მოცემულია რეგულაციები, რომლითაც ხორციელდება პერსონალის მართვის პროცესები. კერძოდ შინაგანაწესის მე-3 თავის მე-2 პუნქტი აღწერს ვაკანსიის შემთხვევაში კონკურსის პირობებს. მე-3 პუნქტი - თანამშრომელთა მიღების, გადაყვანის და დათხოვნის წესს; მე-4 პუნქტი - შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტას; მე-7 პუნქტი თანამშრომელთა წახალისებას, ხოლო მე-8 პუნქტი დისციპლინურ პასუხისმგებლობას. შინაგანაწესის მე-4 თავი ეთმობა თანამშრომელთა ანაზღაურების წესს, მივლინებას, შვებულებას. რაც შეეხება მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, ამის შესახებ სკოლას გათვალისწინებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას აქვს საჭიროების შემთხვევაში ადამიანური რესურსების ჩანაცვლება/შენაცვლების პრაქტიკის განხორციელება მასწავლებელთან დაკავშირებით. მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სამუშაო დროის აღრიცხვის რამოდენიმე თვის ტაბელები დაწყებითი საფეხურის და საბაზო-საშუალო საფეხურის, ცალ-ცალკე, საიდანაც ჩანს ერთი მასწავლებლის მიერ მეორის ჩანაცვლების აღრიცხვა, კონკრეტული დღის და გაკვეთილის მითითებით. დანარჩენი თანამშრომლების

ჩანაცვლება/შენაცვლება დასტურდება შესაბამისი განცხადებისა და დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე.
სკოლას ეძლევა რჩევა შინაგანაწესში (ან მისთვის სასურველ ნებისმიერ სხვა დოკუმენტში), პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის სრულყოფისთვის დაამატოს რეგულაციები, რომელიც სკოლის აქტივობებს აღწერდა პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად.
არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლა იტყობინებოდა, რომ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და დაამტკიცა ცვლილება შინაგანაწესში - პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის შესახებ.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ ვიზიტის დროს გადმოგზავნილი საკონკურსო მასალების მიხედვით საკონკურსო კომისია დაკომპლექტებულია მოქმედი წესის მოთხოვნების შესაბამისად. ანალოგიური სიტუაციაა სპეცმასწავლებლის კონკურსთან დაკავშირებით - სკოლა კონკურს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის ყველა თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე რომლებშიც სრულყოფილად წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის, განათლების და კვალიფიკაციის, ასევე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. თუმცა სრულყოფილად არ არის კანონმდებლობით და სკოლის შინაგანაწესით მოთხოვნილი ცნობები, **კერძოდ „ნასამართლობის“ ცნობა არ აქვს 19 თანამშრომელს; „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის“ ცნობები - 7-ს; ნარკოლოგიური ცნობა, რომელიც შინაგანაწესითაა მოთხოვნილი - 22-ს; ხოლო ცნობა "საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ" არც ერთ თანამშრომელს (სულ 119 პირი) არ აქვს.** მართალია ვიზიტის პერიოდში სკოლის თანამშრომლებმა დაიწყეს ცნობის აღების მიზნით შსს მომსახურების სააგენტოს პორტალზე დარეგისტრირება, მაგრამ სკოლას ამის დამადასტურებელი დოკუმენტი ჯერ არ წარმოუდგენია, ამის გამო ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ვერ ჩაითვალა დასკვნის პროექტში.
<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა ყველა ცნობა, რომელიც არ ჰქონდათ, შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები გადავიდა სრულ შესაბამისობაში</u>
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებული მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მათი კვალიფიკაციები რეგულირებადია და სახელმწიფოსგანაა დადგენილი, რომელიც დაცულია სკოლის მიერ. სკოლის დანარჩენი თანამშრომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დოკუმენტს - „თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები", რომელიც სკოლას დამტკიცებული აქვს 2023 წლის 26 აპრილის N01-03/26 ბრძანებით. ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში არის ინკლუზიური განათლების კოორდინატორი და სკოლას ჰყავს ამ თანამდებობის პირიც, თუმცა გამომდინარე იქიდან

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის სტრუქტურული ერთეულები რამდენიმე კოლეგიური ორგანოა (პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მშობელთა სათათბირო რომელთა ფუნქციები და გადაწყვეტილებების მიღება მონაწილეობით და გუნდურობას ეფუძნება. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ჯგუფები, რომლებიც გადაწყვეტილებებს სწორედ, რომ მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს ემყარება. ასეთი ჯგუფებია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების სამუშაო ჯგუფი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფი, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში წარმატების აღიარების მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს წახალისების სისტემა, რომელიც სკოლის შინაგანაწესშია და რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ან/და კეთილსინდისიერი ხანგრძლივი სამსახურისთვის. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა წახალისების შესახებ ბრძანების რამოდენიმე ნიმუში. გარდა ამისა, სკოლას აქვს პრაქტიკა, გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუსაო შეხვედრების მოწყობა პედაგოგებს შორის, სადაც ხდება საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარება. სკოლამ გადმოაგზავნა დირექტორის ბრძანებები თანამშრომელთა წახალისების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის წესდება;
- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სამუშაო დროის აღრიცხვის ტაბელები;
- თანამშრომელთა ჩანაცვლების განცხადება და ბრძანება;
- პრემიის გაცემის ბრძანებები;
- ბრძანება საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“ (ბრძანება N01-03/06, 10.01.2023). ამ დებულების თანახმად შექმნილია სკოლის ხარისხის ჯგუფი, რომელიც ესწრება გაკვეთილებზე, რომლის ფარგლებში ხდება მასწავლებელთა საჭიროებათა გამოვლენა და განმავითარებელი შეფასების მიცემა. სკოლამ წარმოადგინა კიდეც გაკვეთილზე დასწრების გეგმა/გრაფიკი და გაკვეთილზე დასწრების შეფასება. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწასვლებლის პრაქტიკული საქმიანობის შეფასების დოკუმენტი, რომელიც მასწავლებლის საქმიანობას აფასებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, პროექტების განხორციელებასა და განათლების სფეროში სიახლეების ძიება და პრაქტიკაში დანერგვის უნარებში. რაც შეეხება დანარჩენი თანამშრომლების შეფასებას, სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა შეფასებას და პროფესიული საჭიროებების დადგენას 5 ქულიანი აღმავალი სისტემით. სკოლამ წარმოადგინა რამდენიმე თანამშრომლის შეფასების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც მათ მოვალეობის შეფასებას მიემართება. ყოველიბე ამას სკოლა აკეთებდა დადგენილი პრაქტიკით, რეგულაციის გარეშე. ვიზიტის მიმდინარეობის დროს სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა (ბრძანება N01-03/78, 02.10.2025) „სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და თანამშრომელის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის წესი“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის პერსონალი პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობს რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე პროფესიული განვითარების აქტივობებში. გარდა ამისა, სკოლაში სისტემატიურად იმართება მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები - საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით და კათედრაზე, სადაც პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, განიხილავენ პრობლემებს და სახავენ ინტერვენციებს. ამის შესახებ ხარისხის ჯგუფის დებულებაშიცაა ჩაწერილი (მუხლი 9), რომელიც განსაზღვრავს, რომ გაკვეთილზე დასწრებისა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის ა) თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება; ბ) სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება; გ) მასწავლებელთ გადამზადება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის ჯგუფი, რომელიც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნავს. გარდა ამისა, მასწავლებლებს ხელს უწყობს პროფესიული ზრდის კუთხით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახალი თანამშრომლის სკოლაში მიღების შემდეგ გამოჰყოფენ სკოლის თანამშრომელს/მიღებული თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელს, რომელიც ახალ თანამშრომელს გააცნობს სასკოლო გარემოს, მის უშუალო სამუშაო ადგილს, თანამშრომლებს ვისთანაც ექნება სამსახურებრივი კონტაქტები, მასწავლებლის შემთხვევაში წარუდგენენ კლასს, რომელსაც უნდა ასწავლოს, მისცემენ მისთვის განკუთვნილ ინვენტარს/კომპიუტერულ ტექნიკას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გააცნობენ სკოლის შინაგანაწესს და სხვა მოქმედ დოკუმენტაციას და სახვა ამგვარი მოქმედებებით ხელს უწყობენ მის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ყოველივე ეს სკოლას გაწერილი არ ჰქონდა, მაგრამ ვიზიტის დროს ამ მიზნით შეიმუშავა დოკუმენტი „სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და თანამშრომელის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის წესი“, რომლის მე-6 მუხლის მე-4 მუხლში აღნიშნულია, რომ <u>სკოლა ხელს უწყობს დასაქმებულების ადაპტაციას და კოლექტივში ინტეგრაციას</u>; ხოლო მე-16 მუხლში მიტითებულია, რომ თანამშრომლის მიღებისას სკოლის ადმინისტრაცია: ა) აცნობს და გადასცემს სკოლის შინაგანაწესს; ბ) განუმარტავს ფუნქცია-მოვალეობებს, გადასცემს თანამდებობრივ ინსტრუქციას; გ) აცნობს უსაფრთხოების წესებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

პერსონალის პირად საქმეში ინახება სერტიფიკატები, რომლებითაც საქართველოს განათლების სამინისტრო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო პროფესიული განვითარების მიმართულებით გამოვლენილი წარმატების წახალისების მიზნით გადასცემს სკოლის პედაგოგებს. ამასთან ერთად, სკოლის მხრიდან ხშირად ხდება წახალისება, მათ შორის პროფესიული განვითარების დროს გამოჩენილი წარმატებისთვის. რაც დასტურდება სკოლის მიერ გადმოგზავნილი წახალისების შესახებ გამოცემული ბრძანებებიდან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და თანამშრომელის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის წესი“;

- გაკვეთილზე დასწრების მასალები;
- პროფესიული განვითარების გეგმა;
- დირექტორის მიერ პრემიის გაცემის ბრძანებები;
- სამინისტროს მიერ გაცემული თანამშრომელთა ტრენინგის სერთიფიკატები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება" (N01-03/. 10.01.2023). დოკუმენტის მიხედვით სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების შეფასება ხორციელდება ხარისხის ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მიერ დანიშნული პირი. ამ ჯგუფის წევრები არიან კათედრის ხელმძღვანელები. დოკუმენტში პირდაპირი აღწერით არ იკვეთება მართვის ერთ-ერთ გავრცელებული ციკლი (დაგეგმე,

განახორციელე, შეამოწმე, განავითარე), თუმცა სამსახურის ფუნქციებიდან და ხარისხის ჯგუფის ფუნქციებიდან ჩანს, რომ სამსახური ახდენს თავის საქმიანობის დაგეგმვას და განხორციელების შემდეგ, მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზებას. სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესებიც ასევე მოქმედებს ამ ციკლის მოხედვით. მაგალითად სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის და კურიკულუმის დაგეგმვა/განხორციელება მონიტორინგის პროცესები.

ინდიკარორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას მმართველობითი პროცესები აღწერილი აქვს „სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის დებულებაში“. ამ დოკუმენტში განმარტებულია სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესები. ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას აღწერილი აქვს ცალკე დოკუმენტში, რომელსაც ასევე ეწოდება „“სკოლის ძირითადი და დამხმარე პროცესების დოკუმენტი“ (01-03/85, 02.10.2025). გარდა ამისა, ძირითადი საგანმანათლებლო პროცესები სკოლას აღწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში და „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში“. გარდა ამისა ცალკეული დოკუმენტები კიდევ უფრო აზუსტებენ გარკვეულ პროცესებს, ისევე როგორც, მაგალითად საქმისწარმოების წესი; განცხადებებისა და საჩივრის განხილვის წესი და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

„მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმის“ პირველი თავის მე-6 მუხლი ეხება <u>სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრებას</u>. ამავე დოკუმენტის მეორე თავის მე-4 მუხლი კი ეხება სკოლის <u>პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრებას.</u> გარდა ამისა, დოკუმენტში „დისციპლინური კომიტეტის დებულება“, მე-7 თავი ეხება დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას. ამ მუხლის მიხედვით გასაჩივრება უნდა მოხდეს სახდელის დაწესებიდან 7 დღის ვადაში, დამფუძნებელთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“ (N01-03/77, 02.10.2025). დოკუმენტში ცალ-ცალკე აღწერილია მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და პერსონალის უფლებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები” და მისი დამტკიცების ბრძანება;
- „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ და მისი დამტკიცების ბრძანება’
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“ და მისი დამტკიცების ბრძანება;
- სკოლის წესდება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების სხვადასხვა ხერხებს იყენებს. ერთ-ერთ საშუალებაა სკოლის საინფორმაციო დაფა, ასევე სკოლის/კლასების სოციალურ ქსელი, წარმატებით გამოიყენება სკოლის ვებ-გვერდი და ელექტრონული ჟურნალი. გარდა ამისა, კლასების მიხედვით ხდება ინფორმაციის გაცემა და უკუკავშირის მიღება მშობელთა კრებებზე. დამრიგებლების მოვალეობაში შედის მშობლებთან კომუნიკაციის დამყარება. მშობლებისგან მიღებული უკუკავსირების საშუალებით მიიღო უკუკავშირი სკოლის ფილოსოფიის შემუშავების დროს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის სტრუქტურული ერთეულები კოლეგიური ორგანოებია. პედაგოგიური საბჭო, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. სკოლაში მოქმედებს მშობელთა სათათბირო, შემუშავებულია სათათბიროს დებულებაც. ეს სტრუქტურული ერთეული აერთიანებს მოსწავლეთა მშობლებს. გარდა ამისა სკოლაში სხვადასხვა ჯგუფებია შექმნილი, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ კოლეგიური პრინციპით. ასეთი ჯგუფებია ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი; სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი, სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის ჯგუფი და სხვა. ყველა ამ ჯგუფს აქვს სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში და დასტურდება ამ სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ოქმებით ან/და მათი შექმნის ბრძანებებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმის“;
- პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- მშობელთა სათათბიროს დებულება;
- სკოლის კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები და მათი შეხვედრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

ა) სკოლას ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია უსაფრთხოების დაცვის 4 თანამშრომელი, რომლებიც აკონტროლებენ უცხო პირთა გადაადგილებას სკოლაში. სკოლის ორივე შენობა აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით;

ბ) **სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,** თუმცა დამტკიცებული აქვს სკოლის დირექტორის მიერ და ვიზიტის პერიოდში შესათანხმებლად გაგზავნა შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (გამ N01-17/88, 01.10.2025);

გ) სკოლას არ ჰქონდა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ვიზიტამდე. თუმცა ვიზიტის დროს სკოლამ გააგზავნა მიმართვის წერილი შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (გამ N01-17/89, 01.10.2025). საგულისხმოა, რომ სკოლა საფუძვლიანად ემზადებოდა იმისთვის, რომ სკოლას დაეკმაყოფილებინა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები. ამ მიზნით

სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „ელ+“-თან, რომელმაც სკოლის შენობაშო მოაწყო სახანძრო უსაფრთხოების სისტემა და საევაკუაციო გეგმა, რომლის პროექტი შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების სამსახურში (სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი წერილიც), გარდა ამისა სკოლაში შეძენილია სხვადასხვა სახანძრო ინვენტარი. სკოლამ წარმოადგინა ამ აქტივობის ამსახველი დოკუმენტაცია.

დ) სკოლამ წარმოადგინა გაფორმებული ხელშეკრულება უფლებამოსილი ორგანოს - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან და ექსპერტიზის დასკვნა N005451825, 20.08.2025, საიდანაც ირკვევა, რომ ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულის N49-ში მდებარე, N5 შენობის (იხ. 3.5.1.1. ინდიკატორის აღწერა) ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, დღეის მდგომარეობით ვიზუალურად შენობას არ აღენიშნება დეფორმაციები ან სხვა რაიმე სახის დაზიანებები, რაც საფრთხეს შეუქმნის შენობის შემდგომ უსაფრთხო ექსპლუატაციას. აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესი, გარდა აღნიშნული შენობა N5-ის მიმდინარეობს ამავე მისამართზე მდებარე შენობა N1-ში, რომელიც შედარებით ძველი კორპუსია, ვიდრე შენობა N5. როგორც სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ თავი შეიკავა ამ ეტაპზე, N1 შენობის საინჟინრო ექსპერტიზისგან, რადგან, როგორც მისთვის ცნობილია, დაწყებულია ამ ძველი (N1) შენობის რეაბილიტაციის პროცესი და გონივრული იქნება, რომ ექსპერტიზა ჩატარდეს რეაბილიტაციის დამთავრების შემდეგ. ამასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა თავისი წერილი (გამ N01-17/80, 16.09.2025) მიწერილი ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოსადმი (დამფუძნებელია ბათუმის მერია), რომელშიც სთხოვდა მოეწოდებინათ ინფორმაცია სკოლის ძველი კორპუსის რეაბილიტაციის შესახებ. აღნიშნული წერილის პასუხად (წერილის ნომერი: 90-1425262227, 19.09.2025) სკოლას აცნობეს, რომ გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT250016494), რომლის დროსაც თუ გამოვლინდება გამარჯვებული, მასთან დაიდება სამუშაოების შესრულების ხელშეკრულება, რომლის დასრულების თარიღად განსაზღვრულია 2026 წლის 10 მარტის ჩათვლით პერიოდი. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, სკოლის წარმომადგენლის დანცხადებით, სკოლა დაელოდება სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრებას და შემდეგ განმეორებით მიმართავს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს. დასკვნის პროექტში ინდიკატორთან მიმართებით ფიქსირდებოდა ხარვეზი.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა სკოლის N1 (ძველი შენობის) ექსპუატაციის უსაფრთხოების შესახებ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა (N5006350525, 20.10.2025), რომლის მიხედვითაც სკოლის ძველი შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დღეის მდგომარეობით შენობას ვიზუალურად არ აღენიშნება დეფორმაციები ან სხვა რაიმე სახის დაზიანებები, რაც საფრთხეს შეუქმნის შენობის შემდგომ ექსპლუატაციას. ამის გამო ინდიკატორის ხარვეზის ერთი ნაწილი გადავიდა სრულ შესაბამისობაში, თუმცა, მეორე ნაწილი, რომელიც შეეხება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას დარჩება ხარვეზად, რადგან სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში

წარდგენის მომენტისთვის ვერ მოასწრო აღნიშნული გეგმის შეთანხმება. მართალია შესაბამისობის გეგმით სკოლა იტყობინებოდა, რომ 2025 წლის 22 ოქტომბერს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გააგზავნა წერილი და პასუხს 30 ოქტომბრისთვის ველოდებიო, მაგრამ რეალურად გაგზავნილი წერილი ეხებოდა სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის შემოწმებას და არა საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმებას. ამის გამო ხარვეზი რჩება მოუგვარებელი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ არის

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას შემუშავებული აქვს „ექთნის დებულება“ (N01-03/03, 19.09.2019) და „სამედიცინო პერსონალის საქმიანობის და სკოლაში სამედიცინო სივრცის (კაბინეტის) ფუნქციონირების დებულება“ (ბრძანება 01-03/58, 03.09.2025). სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი. რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად. ამავე ბრძანების მიხედვით სკოლას, რომლის მოსწავლეთა რაოდენობა 800-ზე მეტია უნდა ჰყავდეს 2 ექიმი, მაგრამ ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით. სკოლას ჰყავს ექთანი და ექიმი. სკოლის ექიმს არ აქვს ზემოთაღნიშნული ბრძანებით მოთხოვნილი სერთიფიკატები, მაგრამ სკოლამ მაინც აიყვანა, რადგან კონკურსში მონაწილეობა არ მიიღო საჭირო კვალიფიკაციის ექიმმა. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, იფიქრეს, რომ თუ დასაშვებია ექიმის ჩანაცვლება ექთნით, მაშინ ასეთი ექიმით ჩანაცვლება აჯობებს ექთნით ჩანაცვლებას. **სკოლას ეძლევა რჩევა აიყვანოს სათანადო კვალიფიკაციის ექიმი.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლა იტყობინებოდა, რომ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და გამოაცხადა ექიმის ვაკანსია, თუმცა არც ერთი განაცხადი არ შემოსულაო.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი“ (ბრძანება N01-03/60, 19.07.2024), რომლის შესათანხმებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, და სპორტის სამინისტრისგან მიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ სკოლამ უნდა გაასწორის კონკრეტული მითითებები და სხვა რეკომენდაციები სამინისტროს არ გააჩნიაო. სკოლას განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის პასუხისმგებელი მათ შორის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებაზე პასუხისმგებელი ერთი პირი - მამაკაცი. ზოგადი

განათლების კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად სკოლას უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე განსაზღვრულმა პირმა უკონტაქტო დათვალიერება უნდა მოახდინოს სქესის მიხედვით. **სკოლას ეძლევა რჩევა: განსაზღვროს მეორე პირიც - ქალბატონი, რათა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება შესაძლებელი იყოს სქესის მიხედვით.**
არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლა იტყობინებოდა, რომ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და განსაზღვრა მეორე პირიც, შესაბამისად მტკიცებულებად გამოაგზავნა ბრძანება.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

"უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" ერთ-ერთი მიზანი სწორედ "ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაა". სკოლა იცავს და ახორციელებს ამ ბრძანებით დადგენილ რეგულაციებს, შესაბამისად უზრუნველყოს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. ანასთან ერთად, ბრძანების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოკრულია მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის, სახალხო დამცველის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის და სკოლის საბავშო ომბუდსმენის, ტელეფონის ნომრები რაც ასევე ხელშემწყობი ფაქტორია სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნისთვის.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

„ექთნის დებულებაში" სკოლის ექთანი ასევე მოხსენიებულია, როგორც სანიტარული ზედამხედველი. მის მოვალეობებში განსაკუთრებული ადგილი აქვს, რომ ექთანი ხელმძღვანელობს სკოლის სამედიცინო, სანიტარულ-ჰიგიენური პროცესის დაცვას. ამ მიზნით ის აკონტროლებს და ყოველდღიურად ატარებს რეიდებს საკლასო ოთახებში, დერეფნრბში, კვების წერტილებსა და საპირფარეშოებში. ამასთან თვეში ერთხელ სკოლის ადმინისტრაცია წარუდგენს სამედიცინო/ფიგიენური საშუალებების შესყიდვის ზუსტ ჩამონათვალს. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შემოწმებული აქვს სკოლაში გამოყენებული წყლის ვარგისიანობა, შეძენილი აქვს სანიტარულ-ჰიგიენური სხვადასხვა საშუალებები, წარმოდგენილი აქვს შესაბამისად ლაბორატორიის დასკვნა, წყლის ვარგისიანობის შესახებ და შესყიდვის დოკუმენტაცია.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას დამტკიცებული აქვს ,,პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის'' დოკუმენტი (23.07.2025, N01-03/47,). სკოლას მოპოვებული აქვს მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების თანხმობები პერსონალურ მონაცემების დამუშავებაზე. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. 2024 წლის 29 აპრილს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს სკოლამ გაუგზავნა წერილი (N01-22/93), რომელიც გეგმიური შემოწმების შედეგად გამოგზავნილი წერილების პასუხია. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. თუმცა, ამის შესახებ, ინფორმაცია არ დევს სკოლის ვებგვერდზე და სამსახურის ვებგვერდზე. სკოლამ, ვიზიტის დროს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და მისი საკონტოქტო ინფორმაცია აცნობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს (წერილი - გამ N01-17/91, 01,10.2025). **სკოლას ეძლევა რჩევა: სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის ვინაობასა და მისი საკონტაქტო ინფორმაცია გამოაქვეყნონ საკუთარ ვებგვერდზეც. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლა იტყობინებოდა, რომ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და ვებგვერდზეც გამოაქვეყნა ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იცავს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. მაგალითად, ინფორმაცია, რომელიც სკოლაში მატერიალური სახით არსებობს დაცულია სკოლის არქივში და სკოლას შექმნილი აქვს არქივის დებულება, სადაც გაწერილია, რომ არქივი უზრუნველყოფს მასში მოთავსებული დოკუმენტების დაცვას. გარდა ამისა, არქივის (თანამშრომლის) ფუნქციებში შედის მოსთხოვოს სკოლის თანამშრომლებს დაიცვან საქმისწარმოების და საარქივო დოკუმენტების შენახვა-დაცვისა და გამოყენების მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნები. საავტორიზაციო ვიზიტის დროს სკოლაში მოწვეული იყო არქივის სპეციალისტი (გარეშე პირი), რომელიც სკოლას ეხმარებოდა არქივის მოწყობაში. გარდა ამისა, სკოლაში არსებული ინფორმაცია არის ელექტრონულ მატარებლებზე - მონაცემთა ელექტრონული ბაზის სახით, რომელიც ასევე დაცულია გარეშე პირთა წვდომისგან. მაგალითად ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სკოლის wi-fi--ს პაროლი მხოლოდ ერთ პირმა (IT მენეჯერმა) იცოდა, სკოლის ელექტრონულ ბაზაზე წვდომა მხოლოდ საინფორმაციო მენეჯერის პრეროგატივა იყო. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტის „პერსონალის მართვის პოლიტიკა და თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაცია“ მე-11 მუხლში ჩაწერილია, რომ სკოლა უზრინველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის, მათ შორის, პერსონალური ინფორმაციის დაცვას და რომ სკოლის თანამშრომელს უფლება აქვს გაეცნოს სკოლაში არსებულ, მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ზრუნავს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებაზე. შემუშავებული აქვს „შრომის უსაფრთხოების გეგმა“ (ბრძანებაN 01-03/44. 21.07.2025). რომლის უმთავრესი მიზანია სამუშაო სივრცეში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა. გეგმა მოიცავს: მენეჯმენტის ფუნქცია-მოვალეობებს შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; რისკების შეფასებას და მართვას; თანამშრომელთა სწავლებას; უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების მოკვლევას და პრევენციას; სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წერილი საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმებაზე, შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (გამ N01-17/88, 01.10.2025);
- სკოლის წერილი ორივე შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობაზე, შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (გამ N01-17/89, 01.10.2025);
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან დადებული ხელშეკრულება;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა;
- „სამედიცინო პერსონალის საქმიანობის და სკოლაში სამედიცინო სივრცის (კაბინეტის) ფუნქციონირების დებულება“;
- ექთნის და ექიმის პირადი საქმე;
- წერილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ოფიცრის ვინაობის შესახებ;
- „პერსონალის მართვის პოლიტიკა და თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაცია“
- „შრომის უსაფრთხოების გეგმა“;
- უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პირის განსაზღვრის ბრძანება;
- შინაგანაწესში ცვლილების ბრძანება პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის შესახებ;
- გამოცხადებული ექიმის ვაკანსია;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა ფუნქციონირებს მისამართზე - ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N49 (საკადასტრო კოდი - 05.22.47.001), რომელთა მესაკუთრეა სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია. საპატრიარქოსგან სკოლას, უვადო თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე, მიღებული აქვს შენობა-ნაგებობათა კომპლექსის ნაწილი, რომლის **საერთო ფართია 6098.7კვ.მ**. თავის მხრივ, სკოლას იჯარით გაცემული აქვს ფართები: 1) 76 კვ.მ. "ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ"-ზე (საიდ.N 205216023) იჯარის მოქმედების საბოლოო თარიღია 10.11.2025წ. 2) 52 კვ.მ. შპს "ოფის ექსპრეს ჯორჯია" ზე (საიდ. N405722302) - იჯარის მოქმედების საბოლოო თარიღია 30.09.2026.
აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მისამართზე საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (და რეალურადაც) რეგისტრირებულია 6 შენობა ნაგებობა. მათგან N1 და N5 შენობებში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. N1 შენობა სამსართულიანია და ითვლება, როგორც ძველი კორპუსი, N5 შენობა 5 სართულიანია მანსარდით და ითვლება, როგორც ახალი კორპუსი. N2 შენობაში განთავსებულია დარაჯის ჯიხური და საცხობი (იხ. 4.2.4.1. ინდიკატორის აღწერა); N3 შენობა - სველი წერტილი; N4 შენობა

საწყობი; N6 შენობა - საქვაბე. ყველა მათგანი ერთსართულიანია. N1 შენობის მეორე სართულის დიდი ნაწილი (527 კვ.მ.), საპატრიარქოს, როგორც შენობის მეპატრონეს, თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული აქვს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიისთვის

სკოლის N1 და N5 შენობები ერთმანეთის გვერდით მიჯრით მდგომი შენობებია. არსებობს შენობებს შორის გადასასვლელი. შენობებში განთავსებულია 51 საკლასო ოთახი, ერთი დიდი და ორი მცირე სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და სამკითხველო, რესურს ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, სამასწავლებლოები (დაწყებითი და საბაზო-საშუალო), ფიზიკის ვირტუალური ლაბორატორია, ქიმია/ბიოლოგიის ვირტუალური ლაბორატორია, სივრცე სადაც ქიმიური ცდების ჩატარებაა შესაძლებელი, ადმინისტრაციის ოთახები, სველი წერტილები და სხვა. შენობის ეზო გამოიყენება სპორტული მოედანის დანიშნულებითაც.

სკოლას აქვს მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობის (1300) შესაბამისი მერხი (1462) და სკამი (1423); ლეპტოპი და კომპიუტერი 54 ერთეული და სხვა ინვენტარი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი და სხვა), მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრონციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას დამკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და მისი სარგებლობის წესები. კომპიუტერულ კაბინეტზე გამოკურულია მოსწავლეების და თანამშრომლების მიერ გამოყენების განრიგი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, აქვს ბიბლიოთეკა და სამკითხველო. შემუშავებულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც აღწერილია ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკის წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, წიგნები დალაგებული როგორც სისტემურად, ასევე ანბანური წესით. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკაზე გამოკრილია მუშაობის გრაფიკი. ბიბლიოთეკაში არის გამოყოფილი ადგილი სამკითხველოდ, აქვე განთავსებულია 3 კომპიუტერი. ამასთან,

ბიბლიოთეკის გვერდით არსებული ოთახი მოწყობილია სამკითხველოდ. სამკითხველოში განთავსებულია მაგიდებიც და რბილი ავეჯიც, ასევ ე.წ. „პუფები“, რაც ქმნის კომფორტულ გარემოს წასაკითხად.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურაში შექმნია გარემო, რომელის სწავლის ინკლუზიურობას უწყობს ხელს. კერძოდ, სკოლაში მოწყობილია რესურსოთახი და ადაპტირებული საპირფარეშო; ორივე სასწავლო შენობას აქვს პანდუსი პირველ სართულზე შესასვლელად, ძველ კორპუსში სართულებზე გადასაადგილებლად, კიბეებზე არის ასაკეცი პანდუსები, მიუხედავად ამისა, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლამ იცის და გააზრებული აქვთ, რომ ასეთ პანდუსზე გადაადგილება ნებისმიერ ეტლით მოსარგებლეს გაუჭიდრება. ამის გამო, სკოლამ გადაწყვიტა მოაწყოს ლიფტი, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ლიფტის მოწყობას დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ, რადგან შენობის გადაკეთება საჭიროებს შენობის არქიტეკტორისგან, როგორც საავტორო უფლების მქონე პირისთგან, ნებართვის მოპოვებას და მისგანვე ლიფტის პროექტის შედგენას. ამ მიზნით სკოლამ მიმართა შენობის არქიტექტორს - ლიფტის პროექტის მომზადების თხოვნით (წერილი გამ. N01-17/81, 16.09.2025), და არქიტექტორისგან პასუხად მიიღო, რომ <u>შეუდგა ლიფტის მოსაწყობად პარამეტრების შერჩევას, ამასთან მოსაძიებელია სხვა მასალები, რათა შედგეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რაც საჭირო იქნება ნებართვის მისაღებადო</u>.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ხშირად გამოიყენება კულტურულ ღონისძიებათა განხორციელების ადგილად. სააქტო დარბაზში და არა მარტო იქ, ხდება შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, მათ შორის მშობლებთან, კურსდამთავრებულებთან. აქედან აღსანიშნავია კურსდამთავრებულებთან შეხვედრა, რომელსაც სკოლაში ცნობილია „გიმნაზიელები გიმნაზიელებისთვის“ დასახელებით და სკოლაში იმართება ხშირად. ამ აქტივობის ამსახველი ფოტო მასალა სკოლას გამოქვეყნებული აქვს საკუთარ სოციალური ქსელის გვერდზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 05.22.47.001);
- საკადასტრო გეგმა;
- ბიბლიოთეკის დებულება და მისი დამტკიცების ბრძანება;
- წერილი შენობის არქიტექტორთან და მისგან მიღებული პასუხი;
- სკოლის სოციალური გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=61571837420355.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არის 54 კომპიუტერი და ლეპტოპი, 7 პროექტორი, 10 პრინტერ-სკანერი-ქსეროქსი. მათგან კომპიუტერულ კლასში განთავსებულია 27 კომპიუტერი. დანარჩენი სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, დირექციის და ადმინისტრაციის კაბინეტებში. სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, მათ შორის უკაბელო ინტერნეტი. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ნაწილია ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, გვერდი სოციალურ ქსელში,რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ

ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან ერთად ხელს უწყობს ადმინისტარაციული და სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას დადგენილი აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების განრიგი მოსწავლეებისთვის და თანამშრომლებისთვის და ეს განრიგი გამოკრულია კომპიუტერული ლაბორატორიის შესასვლელში. გარდა ამისა კომპიუტერები განთავსებულია ბიბლიოთეკაში და სამასწავლებლოში, რომელთა გამოყენება თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შესაძლებელია როგორც პერსონალი, ასევე მოსწავლეების მხრიდან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის სარგებლობის წესი;
- ციფრული განვითარების სტრატეგია;
- სკოლის ვებ-გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=61571837420355.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედი საქმისწარმოება შესაბამისია მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების ერთიანი წესი“ (ბრძანება N01-03/03, 19.09.2019). წესს ახლავს დოკუმენტების ნომენკლატურა, რომელშიც მითითებულია კონკრეტული დოკუმენტის ინდექსი და შენახვის ვადა. საქმისწარმოების წესში განსაზღვულია დოკუმენტების

ტიპები (შემოსული; გასული; სხვადსხვა ტიპის ბრძანებები, პედსაბჭოს ოქმები; ხელშეკრულებები და მემორანდუმები), და მათი რეგისტრაციის და აღრიცხვის წესი.სკოლამ წარმოადგინა სათანადო აღრიცხვის ჟურნალები და თავად დოკუმენტები. გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს „არქივის დებულება“ (ბრზანება N01-03/97, 20.01.2025), რომელშიც განმარტებულია რომელი დოკუმენტები განეკუთვნება არქივს და ვინ, რა წესით უნდა უზრუნველყოს სკოლის სტრუქტურული ერტეულებიდან დოკუმენტების არქიმში ჩაბარება, სადაც დოკუმენტები ინახება დადგენილი ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება მართვის საინფორმაციო **echool.emis.ge** სისტემა, ელექტრონული ფოსტა, სკოლა აქტიურად იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. სკოლის მართვაში ასევე გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა Google, Office-ების სხვადასხვა პროგრამებს და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო **echool.emis.ge** სისტემაში. ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელებაა “ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა”. პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა, თავისი საქმიანობის შესახებ, აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს იმ უწყებებს, რომლებიც ერთჯერადად ან სისტემატიურად უფლებამოსილი არიან მიიღონ ასეთი სახის უკუკავშირები. მაგალითად, სისტემატიურად და მოთხოვნის შესაბამისად სკოლა აწვდის ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერების და სპორტის სამინისტროს, აჭარის განათლების და სპორტის სამინისტროს, ადგილობრივ რესურსცენტრს, ასევე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და სხვა უწყებებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
- სკოლის „საქმისწარმოების ერთიანი წესი“
- სკოლის „არქივის დებულება“;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- გასული კორესპოდენციები საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც სკოლის შესახებ ზოგადი სახის ინფორმაციაა ასახული. ვებ-გვერდზე არის სკოლასთან საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ ინფორმაცია (მითითებულია სკოლის მდებარეობის მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი). მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციის საშუალებად გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. გარდა ამისა დამრიგებლებს მშობლებთან აქვთ სატელეფონო ან/და სოციალური ქსელებით კომუნიკაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

ვებგვერდზე და სკოლის საინფორმაციო დაფაზე, როგორც ინფორმაციის გავრცელების საშუალებებზე, სკოლის მიერ გამოქვეყნებული აქტივობის ამსახველი მასალა, არის სანდო და უტყუარი. რაც დასტურდება გამოქვეყნებული მასალისა და

განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებისა და ინტერვიუს დროს მოპოვებული ინფორმაციის თანხვედრით

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა აცხადებს, რომ სასკოლო საზოგადოების აზრი მისთვის მნიშვნელოვანია, ამიტომ ხშირად ხდება მათი გამოკითხვები და მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება სკოლის სხვადასხვა საქმიანობაში. მაგალითად ფილოსოფიის შემუშავების პროცესსი, სსკოლამ გაითვალისწინა სასკოლო საზოგადოების არზრი. სკოლამ ასევე წარმოადგინა მშობელთა კმაყოფილების კვლევის მასალები, რომელშიც კითხვები ეხება მშობელთა კმაყოფილებას სკოლის ინფრასტრუქტურას, დირექციასთან ურთიერთობას, სწავლებას და არაფორმალურ განათლებას და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია დევს ქართულ ენაზე - იმ ენაზე, რა ენაზეც სკოლა ახორციელებს სწავლებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის აქვს ვებ-გვერდი და ვებ-გვერდზე განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა და საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. ასევე არის ინდიკატორით მოთხოვნილი ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები. ასევე, ფინანსური მდგრადობის შესახებ და სამოქმედო გეგმის ანგარიში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელი გვერდი;
- მშობელთა კმაყოფილების კვლევის მასალები;
- სკოლის ვებ-გვერდი: https://batumi-gimnazia.edu.ge/

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსით შესაძლებელია სამოქმედო გეგმის განხორციელება. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ვთქვათ, რომ სკოლა გააგრძელებს დაგეგმვისას სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის თანხვედრას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება დირექტორის მიერ, მანამდე გაცნობა ხდება პედსაბჭოზე. საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების შეტანა დირექტორის მიერ. განკარგვა ხდება დირექტორის და ფინანსისტის მიერ, მონიტორინგი - დამფუძნებლის მიერ. ფინანსურ ანგარიშს აკეთებს ფინანსისტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების ერთ-ერთი გარანტი არის სკოლის შინაგანაწესი, რომლის მე-3 თავში გაწრილია მოსწავლის უფლებები. მოსწავლის უფლებების დაცვისთვის ასეთივე მნიშვნელოვანი დოკუმენტია დისციპლინური კომიტეტის დებულება. თუმცა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით განხორციელებული სკოლის აქტივობა - ბავშთვა ომბუდსმენის ინსტიტუტის დაარსება სკოლაში, რომელიც 2024 წლის 29 მარტს შედგა. ბავშვთა ომბუდსმენის ინსტიტუტის დაარსებას ესწრებოდნენ სახალხო დამცველის რეგიონული წარმომადგენელი და აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტების წარმომადგენლები. დაარსების პრეზენტაციაზე სკოლის ბავშვთა ომბუდსმენმა წარადგინა დებულება, რომლის მიხედვით ბავშვთა ომბუდსმენის ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანინით „ბავშვთა უფლებების კოდექსი“; გაეროს ბავშვთა უფლებების კონვექციაში ჩამოყალიბებული პრინციპებით და ამავე სკოლის ფილოსოფიითა და შინაგანაწესით. ბავშვთა ომბუდსმენის მოქმედების მიზანია მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების მხარდაჭერა და უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა.

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას ემსახურება სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლას ჰყავს ექთანი, დისციპლინური კომიტეტი. ყველა ეს პირი/სტრუქტურული ერთეული მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტორები არიან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო დოკუმენტები: სკოლის შინაგანაწესი, ომბუდსმენის დებულება, დისციპლინური კომიტეტის დებულება, რეფერირების წესი და სხვა შიდა რეგულაციები გამოკრულია სკოლაში, თვალსაჩინო ადგილას და სკოლის ვებ-გვერდზე და უზრუნველყოფილია მათი <u>გამჭვირვალეობა</u>. ამ დოკუმენტების შემუშავების

სხვადასხვა ეტაპზე ჩართული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რითაც უზრუნველყოფილია გაზიარებულის ნაწილიც. გამჭვირვალობას და გაზიარებას ემსახურება ისიც, რომ სასწავლო წლის დასაწყისში „სადამრიგებლო დებულების" შესაბამისად დამრიგებლების მეშვეობით ხდება ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების გაცნობა მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელიც იდება ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში ხდება მათში ცვლილებების შეტანა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ბავშვთა ომბუდსმენის დებულება;
- დისციპლინური კომიტეტის დებულება;
- რეფერირების წესი;
- მშობელთან დასადები ხელშეკრულების ნიმუში.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის შენაგანაწესში მოცემულია რეგულაციები, რომელიც არეგულირებს „მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის და სტატუსის შეჩერების წესს“, საფეხურის (და კლასის) დაძლევა მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნული წესები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, ჩარიცხვა და სტატუსი შეჩერება - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესთან; მობილობა - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებასთან, კლასის/საფეხურის დაძლევა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა, სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების წესები. სკოლა იცავს შემუშავებულ წესებს, რის მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში მოქმედებს 20 დასახელების კლუბი და წრე: მკითხველთა კლუბი დაბალი და მაღალი კლასებისთვის ცალ-ცალკე; პოლიტიკურ მეცნიერებათა და სამოქალაქო განათლების კლუბი; კინოკლუბი; შემოქმედებითი წრე „მანე“; 3 დასახელების უცხოური ენების წრე; კლუბები საბუნებისმეტყველო მიმართულებით და სხვა. თითოეული მათგანის პირობების, ფასიანი/უფასო მომსახურეობის შესახებ, ასევე სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის და განხორციელებული პროგრამების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე სოციალურ ქსელში. გარდა ამისა ინფორმაცია ეგზავნებათ მოსწავლეებსა და მშობლებს სოციალური ქსელის შიდა ჯგუფებში. ამასთან ერთად, სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით, დამრიგებლები წლის დასაწყისში მოსწავლეთა მშობლებს აცნობს ინფორმაციას შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას სკოლის მიერ განხორციელებული პროგრამების, მათი სპეციფიკის, მოსწავლეთა ქცევის და მათი დარღვევის შესახებ მოსალოდნელი დისციპლინური სახდელების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა პროგრამების, მომსახურეობების და სხვადასხვა სერვისების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ვებ გვერდის ან/და სოციალური ქსელის ან/და სკოლის საინფორმაციო დაფის, ან/და პერსონალის მეშვეობით. გავრცელებული ინფორმაცია არ არღვევს კანონმდებლობას, არ არის დისკრიმინაციული, გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ინფორმაცია არის განახლებადი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სასკოლო სასწავლო გეგმა (სადამრიგებლო პროგრამა);
- რეფერირების წესი;
- კლუბების და წრეების სოციალური გვერდები ინტერნეტ სივრცეში;
- კლუბების წესდებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას მოსწავლეთა ადაპტაციის შესახებ მცირე ჩანაწერი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომლის მიხედვით დამრიგებელს ევალება, რომ მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის საკითხები და სხვა დაკავშირებული დოკუმენტები. სხვა კონკრეტიკა ამ ჩანაწერს არ ახლავს, თუმცა სკოლაში დიდ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეტა ადაპტაცია (იხ შემდეგი ინდიკატორის აღწერა). **სკოლას ეძლევა რჩევა მოსწავლეთა ადაპტაციის შესახებ რეგულაციები მკაფიოდ გაწეროს და ჩაწეროს ის აქტივობები, რასაც ახორციელებს პრაქტიკულად.**

არგუმენტირებულ **პოზიციასთან ერთად სკოლა იტყობინებოდა, რომ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და დაამტკიცა დოკუმენტი მოსწავლეთა ადაპტაციის შესახებ, რაც გამოაქვეყნა კიდეც ვებგვერდზე.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლას ადაპტაციის ამსახველი ფოტოები გამოქვეყნებული აქვს სკოლის ვებგვერდზე. ამ დროს ხდება სასკოლო გარემოს გაცნობა და ღონისძიების მოწყობა. მინდინარე სასწავლო წლის დაწყებისას, სკოლის მიერ ორგანიზებულ ადაპტაციის პროცესის მიმდინარეობისას, პირველკლასელებთან გასამხნევებლად მათი საყვარელი ზღაპრის გმირები მოვიდნენ. სკოლას აქვს პრაქტიკა, პირველკლასელებს სწავლის დაწყებისას გადასცეს სამახსოვრო სიგელები „შენ გიმნაზიელი ხარ“. გარდა პირველკლასელებისა, სხვა კლასში გადმოსულ მოსწავლეებს ადაპტაციისა და სკოლის გაცნობის პროცესს დამრიგებელი უძღვება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლის მხარდაჭერისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, სკოლის შინაგანაწესით დადგენილია, რომ მოსწავლეს, საშემოდგომო ან/და ექსტერნის გამოცდის დროს წინასწარ ჩაუტარდებათ კონსულტაციები. გარდა ამისა, სკოლაში ტარდება დიაგნოსტიკური წერები, რომლებიც მოსწავლის აკადემიური მიღწევების დიაგნოსტირებასა და გაუმჯობესებას ემსახურება. ასეთივე მიზანი აქვს შემაჯამებელი დავალებების და შუალედური მიზნის მისაღწევ დავალებების ანალიზებსა და შემდეგ განმავითარებელი კომენტარების მიცემას. ამასთან ერთად, მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებასა და მხარდაჭერას ემსახურება სასწავლო პროცესში გამოყენებული განმავითარებელ შეფასებები, მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი

სკოლას დამტკიცებული აქვს რემედიაციის პროგრამა (01-03/76, 01.10.2025), რომელიც იმ მოსწავლეების ითვალისწინებს, რომლებსაც აღნიშნული მხარდაჭერის აღმოჩენის გარეშე არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მიაღწიონ საგნობრივი კურიკულუმით დადგენილ მიზნებს, აგრეთვე იმ მოსწავლეებს, რომლებიც სწავლის მიტოვების რისკის ქვეშ იმყოფებიან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა განათლების შეუზღუდავად მიღებისათვის მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც გამოიხატება ექსტერნის გამოცდების ვადებისა და პროცედურების დროულ ინფორმირებაში; სემესტრული გამოცდით სარგებლობის უფლების გაცნობით; ასევე აღსანიშნავია მაგალითად, ადმინისტრაციული მხარდაჭერა მოსწავლეთა ისეთი უფლებების გასახორციელებლად, როგორიცაა კლუბების შექმნის უფლება - სკოლაში არაერთი კლუბია შექმნილი მოსწავლეთა ინიციატივით. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს, მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ მათი უფლებების და მოვალეობების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში, სკოლა მზადაა განახორციელოს შინ სწავლების პროცედურები იმ ტიპის მოსწავლეებისთვის, რომლებიც ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაციის გამო ვერ ახერხებს სკოლაში გამოცხადებას.

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერასა და მოტივაციის ამაღლებას ემსახურება სკოლის მიერ დადგენილი პრაქტიკა - საშუალო საფეხურის კურსდამთავრებულებს, რომლებმაც ოქროს და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს გადასცეს ფულადი ჯილდო და სკოლის მიერ დადგენილი შესაბამისი მედლები. სკოლამ წარმოადგინა ამ აქტივობის დამადასტურებელი უკანასკნელი 4 წლის ბრძანებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს აქტივობები არაფორმალური განათლების მიმართულებით. მიმდინარე სასწავლო წელს 20 კლუბი და წრე ფუნქციონირებს. გარდა ამისა, ხორციელდება სასკოლო პროექტები. გასულ წლებში, მოსწავლეთა ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით, სკოლის მიმდებარე სკვერში, განხორციელდა საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად, ამ არცთუ მარტივი პრცედურების განხორციელებას სკოლის მხრიდან კვალიფიციური კადრის მხარდაჭერა და თანადგომა ჰქონდა. სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა კლუბები. კლუბების ხელმძღვანელები სათანადო კვალიფიკაციის პერსონალია. გარდა ამისა, სკოლა ჩართული იყო სხვადასხვა საგანამანთლებლო პროექტებსა და პროგრამებში, სპორტულ შეჯიბრებებში. ყველა შემთხვევაში აქტივობები ხორციელდება კვალიფიციური კადრის მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას აქვს აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ამის მაგალითია სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში მშობელთა ჩართულობა. ასევე მიმდინარე სასწავლო წელს, გახანგრძლივებული სწავლის ცენტრის ამოღება მომსახურების ჩამონათვალიდან, აღნიშნული გადაწყვეტილება სკოლამ სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული გამოკითხვის/უკუკავშირის შედეგად მიიღო.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- „რემედიაციის პროგრამა“ და მისი დამტკიცების ბრძანება;
- კმაყოფილების კვლევის მასალები;
- სასკოლო კლუბების წესდებები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარებასა და კარიერულ დაგეგმვას. საშუალო საფეხურზე სადამრიგებლო საათის თემატიკა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა „პროფესიები"; „ბიზნეს უნარ-ჩვევები"; „მომავალი პროფესიები"; „კულტურისა და ხელოვნების გავლენა პიროვნების ჩამოყალიბების გზაზე" და სხვა. გარდა დამრიგებლებისა მოსწავლეებთან კარიერული დაგეგმისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით შეხვედრებს ახორციელებს სკოლის პრორექტორი. ამის პარალელურად სკოლაში ხშირად იმართება შეხვედრები ყოფილ წარმატებულ კურსდამთავრებულებსა და სკოლის მოსწავლეებს შორის სახელწოდებით „გიმაზიელები გიმნაზიელებისთვის". აღნიშნულ შეხვედრებზე კურსდამთავრებულები სკოლის მოსწავლეებს უზიარებენ საკუთარ გამოსდილებას კონკრეტულ პროფესიაში და ამ პროფესიის გამოწვევებსა და წარმატებებს. აღნიშნული აქტივობების შესახებ სკოლას ფოტოები აქვს განტავსებული თავის სოციალური ქსელის გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას სკოლის საბაზო ან/და საშუალო საფეხურის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა შესაძლებლობებზე. ამ მიზნით სკოლის მოსწავლეები ხშირად სტუმრობენ ღია კარის დღეებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ბათუმის საზღვაო აკადემიას და სხვა სასწავლებლებს ან/და ამ სასწავლებლის წარმომადგენლები მოდიან სკოლაში და მოსწავლეებს აცნობენ მათ სასწავლებლებში არსებულ პროფესიებსა და დასაქმების პერსპექტივების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და მიღებულ უკუკავშირს. უფროსი კლასის დამრიგებლები მოსწავლეებთან შეხვედრების ჩატარების და გამოკითხვის საფუძველზე იღებენ ინფორმაცია, თუ რომელი სასწავლებლის და რა პროფესიის შესახებ ისურვებდნენ მეტი ინფორმაციის გაგებას და შემდეგ ამის საფუძველზე აწვდიან მოსწავლეებს განახლებულ ინფორმაციას თვითონ ან უშუალოდ მოსწავლეთა საინტერესო სასწავლებლების პერსონალის დახმარებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (სადამრიგებლო პროგრამა);
- სკოლის ფეისბუქ გვერდი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

მიმდინარე წელს სკოლაში არის 15 სსსმ მოსწავლე. წლის დასაწყისში ქმნის ისგ ჯგუფებს. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. დაცულია კონფიდენციალობა. ბავშვის თავისებურებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. საჭიროების შემთხვევაში ცვლილება შედის ისგ გეგმაში. ისგ ჯგუფი იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია „ინკლუზიური სწავლების კონცეფცია და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის“. და

განათლების პროგრამა, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სსსმ მოსწავლის შინ სწავლება და სხვა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის ინკლუზიური განათლების კოორდინატორმა წარმოადგინა გასული წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების დამადასტურებელი რამდენიმე პორტფოლიო, რომელიც სსსმ მოსწავლის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი მტკიცებულებაა. აღნიშნულზე დაყრდნობით და სსსმ მოსწავლის საჭიროებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, ასევე მოსწავლის მშობლისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით ხდება მომავალი ინდგეგმის შემუშავება ისგ ჯგუფის შეხვედრების დროს, სადაც ისგ ჯგუფის წევრები გადაწყვეტილებებს იღებენ წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით. ყოველივე ეს მაჩვენებელია, რომ სკოლა სსსმ მოსწავლის წინსვლისთვის და განვითარებისთვის იყენებს წინარე გამოცდილება.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ინკლუზიური სწავლების კონცეფცია და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის“;
- ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსსმ მოსწავლეთა პორტფოლიოები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის N2 შენობაში, რომელიც ეზოში მდებარეობს, სხვა დამხმარე შენობასთან (N4) მიჯრით და სასწავლო კორპუსებისგან განცალკევებით, მოწყობილია საცხობი, რომლითაც სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ. საცხობის ფუნქციონირებისთვის სკოლა დარეგისტრირებულია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, როგორც ამას ითხოვს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ N1601881 24/11/2023წ. ბრძანება, რის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ამონაწერი **(განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: E25064917, 28/04/2025 11:56:52**). ამავე ბრძანების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საცხობი შემოწმებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ და სკოლის მიერ წარმოდგენილია **შესაბამისობის შეფასების აქტი № 1B36A114555B5.** ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ **საცხობს დანერგილი აქვს HACCP-ის სისტემა**. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას არ განუხორციელებია საცხობის შიდა მონიტორინგი, რომელიც ზემოთ ნახსენები ბრძანების დანართის მე-7 მუხლის შესაბამისად უნდა განახორციელოს. **სკოლას ეძლევა რჩევა: შექმნას მონიტორინგის ჯგუფი და პერიოდულად განახორციელოს საცხობის მონიტორინგი**.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლა იტყობინებოდა, რომ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და განახორციელა კვების ობიექტის შიდა მონიტორინგი, რომლის შედეგები გამოაქვეყნა სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

2025-2026 სასწავლო წელს სკოლა ახორციელებს 20 დასახელების სხვადასხვა სახის დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობას კლუბების და წრეების სახით, რომლებშიც მონაწილეობა მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. თითოეულ მათგანში მონაწილეობის წესი ნებაყოფლობითია და განასაზღვრულია კონკრეტული კლუბის წესდებით. თითოეული მათგანის მიზანია ხელი სეუწყოს მოსწავლის განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ მოსწავლეთათვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურეობები ხორციელდება უსაფრთხო გარემოში და დაცულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან;
- სურსათი ეროვნული სააგენტოს შემოწმების შესაბამისობის აქტი;
- დოკუმენტაცია HACCP-ის სისტემის დანერგვის შესახებ;
- კლუბების წესდებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება**

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლაში ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას და ასევე კურიკულუმის მეთოდოლოგიის *(ბრძ. N01-03/75 02.10.2025);* მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები , შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის მისია-ხედვა-ღირებულები, სადაც გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზნები ასევე მკაფიოდ ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლაში ვიზიტის პერიოდში მასწავლებლებთან ინტერვიურების საფუძველზე გაირკვა, რომ კათედრებმა შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, რის საფუძველზეც იგეგემება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების

გათვალისწინებით გეგმავენ სასკოლო პროექტებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლაში მასწავლებლები იზიარებენ სასკოლო კურიკულუმის ზოგად ჩარჩოს, შეთანხმებულნი არიან შეფასების მოდელთან რომელიც ითვალისწინებს განმსაზღვრელი შეფასების დაწერას საკლასო საშინაო და შემაჯამებელ სამუშაოებში სკოლის ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*
- *კათედრის ოქმები;*
- *მშობლებებთან ჩატარებული კითხვარები არჩევითი საგნების და მეორე უცხოური ენის არჩევაზე;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ა(ა)იპ ქ. ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის მიერ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო საგნების სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილია საგნობრივ სტანდარტებში მოცემული თემები, თემების შესაბამისი საკითხები, სამიზნე ცნებები. შუალედური მიზნები-კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრავს სკოლისა

	და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს და ადასტურებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მაგ. მე-10 კლასის ქიმიის კურიკულუმის ჩარჩოში კი მოცემული კომპლექსური დავალება „ქიმიური რეაქციების მრავალფეროვნება“ ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებებზე (ნივთერებები) მოსწავლეთა გაყვანას. სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელო ასევე ონლაინ რესურსები ორიენტირებულია პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაზე და მოსწავლეების განვითარებაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმები საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების ისეთ რეგულაციებს სთავაზობს, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლის მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური და სხვა ტიპის შემოქმედებით დავალებებზე (პროექტები, კვლევები) დაფუძნებული სწავლების დაგეგმვის და განვითარების გამოცდილება. კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობენ მიზნის მიღწევას, რისთვისაც მოსწვალემ ძალისხმევა უნდა გაიღოს. მოსწავლეს საშუალება ეძლვა რომ მართოს საკუთარი სწავლის პროცესი. სხვადასხვა ტიპის აქტივობები მოსწავლისთვის საინტერესო და განსხვავებული გამოცდილებას სძენს. მოსწავლეს ეძლევა საშუალება გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნას სხვადასხვა ვარიაციები. ეს ყველაფერი კი მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მახასიათებლებია. ***რჩევა-*** ეროვნულ სასწავლო გეგმაში შუალედური მიზანი კომპლექსური დავალება ჩანაცვლებულია შუალედური მიზნის მისაწევი შემოქმედებითი დავალებით (შესავალი. □უხლი 5.3). სახელმძღვანელოები გრიფირებულია და მასში წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის დავალებები ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე გასვლას. ამიტომ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალების გრაფა ჩანაცვლდეს შუალედური შემოქმედებითი დავალებით. შესაბამისად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებების ჩაწერა იმ საკითხებთან რომლებზეც არ არის მოცემული კომპლექსური დავალება. □ურიკულუმის ჩარჩოს გრაფები შეივსება სათანადო მასალით, უფრო

	მრავლისმთქმელი გახდება, რაც საბოლოო ჯამში დაეხმარება მასწავლებელს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეების მრავალმხრივ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა სამივე საფეხურზე ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით, მოსწავლეს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამისს კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. მასში გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტის იდეები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და სრულად წარმოაჩინოს საკუთარი თავი. ოლო, დამხმარე რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესებზე დაყრდნობით. ყოველივე ეს დამყარებულია პედაგოგების მიერ მოსწავლეების ნამუშევრებზე დაკვირვებითა და გაანალიზებით, რამდენად მიემართება ისინი საფეხურის შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. აქვე აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს ინტეგრირებული სწავლების პრაქტიკაც და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტებს. ვიზიტის დროს მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაციის სახით გამოგზავნილ კურიკულუმებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მათ აქვთ მზაობა სრულყოფილად შეავსონ/გაასწორონ კურიკულუმი. **რჩევა- სასურველია:**

	1. თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება; (ყველა საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში) **2. ჩაკორექტირდეს სამიზნე ცნებები ინგლისურისა და რუსული ენების კურიკულუმებში საბაზო საფეხურზე;** **3. კურიკულუმებში ტერმინი "კომპლექსური დავალება" ჩანაცვლდეს "შემოქმედებითი პროდუქტით", რაც მეტად მიესადაგება კურიკულუმში შეტანილ იმ დავალებებს, რასაც რეალურად ახორციელებენ. (ყველა კლასის)** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული საწავლო გეგმის გათვალისწინებით და ეყრდნობა მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლების პრინციპებს. შერჩეული დავალებებში გათვალისწინებულია წინარე ცოდნა, მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები, რაც სწავლის მოტივაციის ამაღლებას, მოსწავლეთა ჩართულობას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტი დაწყებით საფეხურზე, მე-5 კლასის ჩათვლით არის სრულყოფილად შევსებული და მასში გათვალისწინებულია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესი. დაწყებითი საფეხურის მე-6 კლასის, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები არ არის სრულყოფილი თავისი ფორმით (კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში ზოგიერთი სვეტი არ არის სრულყოფილად შევსებული, მაგალითად საკითხები, რესურსები და ონლაინ რესურსის ლინკები), თუმცა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა გამოცდილება და მზაობა ამის გამოსასწორებლად. შინაარსობრივი თვალსაზრისით სამივე საფეხურის კურიკულუმების სრულყოფილია. ეს არის მყარი არგუმენტი იმისთვის, რომ სკოლას

	ნამდვილად შეუძლია ამ მიმართულებით უკეთესი, მომავალში უფრო დახვეწილი კურიკულუმი შექმნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. გაწერილია სამიზნე ცნებები და სავალდებულო თემები, შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებები, ასევე წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებებიდან კურიკულუმში შეტანილია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, თუმცა სკოლას განხორციელებული აქვს სხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებიც. **მიეცათ რჩევა,** რომ **ყველა საფეხურის კურიკულუმში** კომპლექსური დავალების სახელწოდება ჩანაცვლდეს „შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებით“, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გარდა კომპლექსური დავალებისა, კურიკულუმში შეიტანონ სხვა დავალებებიც, რომლებსაც რეალურად ახორციელებენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეზე და მიზნად ისახავს მოსწავლის ფიზიკური განვითარების მხარდაჭერას, ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირებისა და მოტორული უნარების განვითარებისთვის ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნას, კურიკულუმი ითვალისწინებს , როგორც თეორიული, ისე პრაქტიკულ ცოდნის შეძენა, რაც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლებას პროცესს ხდის უფრო საინტერესოსს და ეფექტიანს

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..
ტექნოლოგიები	კურიკულუმი წარმოდგენილია იმგვარად, რომ გაითვალისწინოს სწორად დაგეგმოს მოსწავლის განვითარება და წინსვლა. მოწოდებული კურიკულუმები ადასტურებს, რომ ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და სკოლის მისიას. გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებებ რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებ სამიზნე ცნებებს. მაგ. ე-3 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით, უნდ განხორციელდეს სამიზნე ცნებების (სხეულები და მოვლენები, დედამიწა და გარესამყარო გააზრებაზე დაფუძნებული კომპლექსური დავალება "ვიდეო რგოლის შექმნა ბგერის და მუსიკ თავისებურებებზე". აღნიშნული დავალების მიხედვით მოსწავლე უნდა დააკვირდეს ბგერას დ მუსიკას წვიმის დროს და შექმნას ვიდეო რგოლი. მოსწავლემ უნდა მოახდინოს დაკვირვებ გარემოზე, მოსაზრებების ჩამოყალიბება, გაეცნოს ინფორმაციას და შექმნას ვიდეო რგოლი.

	აქტივობები გარდა სამიზნე ცნებებზე გასვლისა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების შემოქმედებითობის, კრიტიკული აზროვნების, ნებელობის განვითარებას უწყობს ხელ მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს კურიკულუმებ რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირებს. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის. სასწავლო პროცესში გამოიყენება შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებები, პროექტული სწავლება და დიფერენცირებული მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში შემოქმედებითი პროდუქტის იდეები წარმოდგენილია იმდაგვარად, რომ აქტივობები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას. კურიკულუმის ჩარჩო -ცხრილებში განსაზღვრულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და შესაბამისი რესურსები, რასაც უშუალოდ უკავშირდება შემოქმედებითი პროდუქტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა სამიზნე ცნებებზე და გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული სწავლის შესაძლებლობას. საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად შერჩეულია თემები და საკითხები რომლის ფარგლებში უნდა დამუშავდეს ცნებები და ქვეცნებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

	რჩევა; **1) მუსიკა-დაწყებითი საფეხური I- II კლ.** აღნიშნულ კლასებში შუალედური დავალების პირობა ნაწილობრივ აკმაყოფილებს ამ ტიპის დავალების მოთხოვნებს, ვინაიდან იგი არ შეიცავს ცნებების გააზრებაზე ორიენტირებულ კომპლექსური დავალების განხორციელების შესაძლებლობას. სასურველია დავალების პირობა ჩამოაყალიბოთ იმგვარად, რომ იგი დაეხმაროს მოსწავლეს, უკეთ გაიაზრონ სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, შეუწყოს მაღალ სააზროვნო უნარების განვითარებას. **2) ხელოვნება -დაწყებითი საფეხური :** სასურველია თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება; **3) ხელოვნება - საბაზო საფეხური:** სასურველია კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული თემა პასუხობდეს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს ;
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შექმნილი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ყველა კლასის კურიკულუმი იმგვარადაა შედგენილი, რომ გათვალისწინებულ იქნას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შუალედური და გრძელვადიანი მიზნები. სკოლას აქვს გამოცდილება კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელებისა დარევიზიის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პედაგოგებს აქვთ ძალიან მაღალი მზაობა და მოტივაცია სიახლეების მიღებისა და პროფესიული განვითარებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად, კურიკულუმში ასახული თემების შესწავლისას მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე. გარდა კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალებებისა, სკოლა ახორციელებს სხვა სახის შემოქმედებითი პროდუქტის მომცემ დავალებებს, მაგალითად, პროექტებს, პრაქტიკულ ამოცანებს, რომლებიც ასევე შუალედურ მიზანს ემსახურება.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, თემებში გაწერილი სპორტის სახეობები ითვალისწინებს საგანმანათლებლო ამოცანების შესრულებას. საკითხებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება,. შემოქმედებითი დავალებები კი ორენტირებულია სამიზნე ცნებებზე და მოიცავს ისეთ პრაქტიკულ დავალებებს, როგორიცაა სპორტული ფესტივალი, მხიარული თამაშები, პროექტების პრეზენტაცია, ნახატების, კედლის გაზეთის, ბუკლეტების მომზადება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი, გუნდური, სოციალური უნარების განვითარებას განაპირობებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..**
ტექნოლოგიები	მოწოდებული კურიკულუმები მოიცავს ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ით განსაზღვრული მიზნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები რეალიზდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე: ა) სიღრმისეული სწავლა; ბ) პოზიტიური სასწავლო გარემო; გ) ინკლუზიური განათლება.კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები **რჩევა:** სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის სამივე საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრულია სასწავლო მასალის ჩამონათვალი, მათ შორის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო რესურსები. სკოლას აქვს სათანადო რესურსებით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ასევე ვირტუალური ლაბორატორია. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რესურსები, მათ შორის ელექტრონული. რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შეტანას, მოტივაციის ამღლებას და ახალი საკითხების ათვისებას. კათედრის მიერ მოწოდებული მასალები და მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად გაყავთ მოსწავლეები სხვადასხვა დაწესებულებებში (ბოტანიკური ბაღი, ბათუმის უნივერსიტეტი). *რჩევა-* ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. სასურველია დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის კურიკულუმის ჩარჩოს და ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე დაამატონ რესურსების გრაფაში რომელი საკითხების შესწავლის დროს იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიებს. ასევე კურიკულუმის ჩარჩოში შეიტანონ არაფორმალური განათლების ფარგლებში გამოყენებული რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, კათედრის წარმომადგენგენლებმა

	გასაუბრებისას ყურადღება გაამახვილეს დამატებით შესაბამის საგანმანათლებლო რესურსებზე, რომელიც აქტიურად გამოიყენება კათედრაზე და რომლის საშუალებით უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **რჩევა: სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად სრულად გაიწეროს ყველა ის დამხმარე რესურსი/ ჰიპერლინკი , რომელიც გამოიყენება შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისას.** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში თითვეულ სასწავლო თემას მითითებული აქვს შესაბამისი სასწავლო რესურსი. სასწავლო რესურსებში მოცემულია გრიფირებულ სახელმძღვანელოდან საკითხები, დამატებითი წყაროები და ელექტრონული რესურსები. მოცემული სასწავლო რესურსები უშუალო კავშირშია სამიზნე ცნებებთან და საგნოგრივ საკითხებთან, რომლებიც უნდა იქნას გააზრებული სწავლა-სწავლების პროცესში და უზრუნველყოს სწავლის შედეგები. **რჩევა:** **2. უმჯობესია, ყველა კლასის კურიკულუმში სრულყოფილად შეივსოს რესურსების გრაფა ყველა იმ დამატებითი ელექტრონული რესურსებით, რომლის გამოყენებაც ხდება.** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურუკულუმებში წარმოდგენილი თემები,საითხები და შუალედური ტიპის დავალებები მოწმობს, სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებას. მათ შორისაა როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოება, ასევე დამატებით რესურსები, რომლებიც ემსახურებიან სასწავლო მიზნებს. თუმცა მუსიკის (დაწყებითი,საბაზო საფესური) და ნაწილობრივ ხელოვნების (დაწყებითი საფეხური) კურიკულუმების შესაბამის გრაფაში ხშირ შემთვევაში არ არის ასახული ეს რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

	რჩევა – მუსიკა- დაწყებითი და საბაზო საფეხური; ხელოვნება -დაწყებითი საფეხური; სასურველია, ყველა კლასში, თითოეულ თემასთან მიმართებაში, კურიკულუმების შესაბამის გრაფაში სრულყოფილად აისახოს ყველა ის დამატებითი ელექტრონული თუ მატერიალური რესურსი , რომელებიც რეალურად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში.
სახელმწიფო ენა	სკოლას აქვს კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, კურიკულუმებში საკმაოდ მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსებია წარმოდგენილი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სახელმწიფო ენის კათედრასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი, რომლითაც მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას შესასრულონ კურიკულუმით გათვალისწინებული დავალებები და მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა როგორც ტექნიკური, ისე მატერიალური სახით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ გამოყენებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც გამოიკვეთა, ყველა რესურსი, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები, არაა შეტანილი კურიკულუმში. **მიეცათ რჩევა, ყველა საფეხურზე** კურიკულუმში სვეტის სახელწოდება: "რესურსები კომპლექსურზე მუშაობისთვის", ჩანაცვლდეს "სასწავლო რესურსებით", ამ უკანასკნელში მიეთითოს ყველა რესურსი, რასაც იყენებენ არა მხოლოდ შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებისათვის, არამედ მთელი თემის დამუშავებისას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, კურიკულუმში ასახულ თემებთან გაწერილი შესაბამისი სპორტული ინვენტარი, სასწავლო ელექტრონული რესურსები და სახელმძღვანელოები, საკმარისია

	მოსწავლის მიერ კურიკულუმით ასახული თემებში სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სტანდარტებით გათვალისწინებული კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების რაოდენობასთან შესაბამისად. ასევე, სკოლას გააჩნია დამხმარე რესურსები, ბროშურები, პროექტორი და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე-დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში და სახელმძღვანელოში მითითებულ მასალებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროგრამის შინაარსი, სასწავლო რესურსები, ასევე არაფორმალური განათლების ფრაგლებში განხორციელებული აქტივობები და პროექტები

	ხელს უწყობენ მოსწავლის ჩართულობას ცოდნის კონსტრუირებისას და დიფერენცირებული სწავლების მიდგომას. სასწავლო გარემო განიხილება მოსწავლის მხარდამჭერ სივრცედ, სადაც გათვალიწინებული იქნება მისი შესაძლებლობები და საჭიროებები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დავალებების შესრულებისას მოსწავლეს საშუალება ეძლევათ, რომ თავად აირჩიოს სასურველი პროდუქტი, რომელსაც შექმნის თავისი ინტერესის და შესაძლებლობის შესაბამისად. ათ აღნიშნეს რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოცემული დავალებები და მათ მიერ გამოყენებული სხვადასხვა ტიპის მეთოდები საშუალებას იძლევა რომ მრავალფეროვანი აქტივობები განახორციელონ. ეს კი თავის მხრივ მოსწავლეთადმი დიფერენცირებულ მიდგომის საწინდარია. სკოლაში მოქმედებს საბუნებისმეტყველო საგნების კლუბები საფეხურების მიხედვით, რაც თავის მხრივ ხელს უწობს მოსწავლეთა სხვადასხვა შესაძლებლობების გამოვლენას და მათი ინეტერესების და შესაძლებლობების დაკმაყოფილებას. დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომას ასევე აჩვენებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი "სსსმ პირთათვის საგანამანათლებლო სერვისების რეგულაცია", სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწ. გეგმების ნიმუში და მოსწავლეების ინდივიდუალური სასწ. ეგმები. ეგმების შესწავლისას დავინახე რომ რამდენიმე შემთხვევაში მოსწავლის შესაძლებლობები და დაგეგმილი აქტივობები ნაწილობრივ არ იყო შესაბამისი. აგ, მე-8 კლასის მოწს. .ა სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კვლევითი დავალებები (მექანიკური მუშაობა, აგრეგატული მდგომარეობა), რომელთა ჩატარება და მიღებული შედეგების განხილვა ნამდვილად არ არის მოსწავლის შესაძლებლობების შესაბამისი. სკოლას ჰყავს 15 სსსმ მოსწავლე, ინკლუზიური განათლების კურატორი და ფსიქოლოგი. სკოლაში არსებული ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს ინკლუზიური განათლების პროცესის შეფასებასა და თვითშეფასებას. აღწერილი მდგომარეობა აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომების შესაბამისად. *რჩევა*- ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. შესაბამისად როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის

	კურიკულუმის ჩარჩოს და ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს. ურადღებით შეისწავლონ სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და დაგეგმონ ისეთი აქტივობები რომლებიც მოსწავლისთვის დაძლევადი იქნება და ამავე დროს ხელს შეუწყობს მის განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. ეს ნათლად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ შემოქმედებით პროდუქტის იდეებსა და მათი განხორციელების პროცესში. აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	კათედრამ წარმოადგინა სწავლების დიფერენცირებული მიდგომების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებშიც ნათლად იკითხება თითოეული მოსწავლის ჩართვა სწავლა-სწავლების პროცესში. სსსმ მოსწავლეებისათვის წარმოდგენილ ადაპტირებული კურიკულუმებსა თუ შემაჯამებელი დავალებებში კარგად ჩანს,რომ პედაგოგი იცნობს მოსწავლის საჭიროებებს და სთავაზობს მის შესაძლებლობებზე მორგებულ სამუშაოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლას ჰყავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ისგ-ს ნიმუში, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვთქვათ რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს, სახელმწიფო ენის კათედრამ წარმოადგინა დიფერენცირებული მიდგომის და მოსწავლეთა მხარდაჭერის არაერთი მაგალითი. ასევე კათედრამ წარმოადგინა დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, დავალება შეასრულონ იმ ფორმით, რა ფორმითაც მათთვისაა მისაღები. პედაგოგები სახელმწიფო ენის სწავლებისას მოსწავლეებს სთავაზობენ განსხვავებული ტიპის დავალებებს და მათი შესრულების სხვადასხვა ფორმებს. არჩევანი საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტებით დადასტურდა, რომ სასწავლო პროცრსი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. დაგეგმვისა და განხორციელებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, საჭიროებებს; წინა გამოცდილებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სასწავლო პროცესი. წარმოდგენილია სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ასევე ადაპტირებული დავალებები.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილ და გათვალისწინებულ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, როგორიცაა შიდა სასკოლო ფესტივალი, ნახატების კედლის გაზეთების, ბუკლეტები მომზადება ფიზიკური აქტივობის თემატიკით, გათვლილია სხვადასხვა უნარისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების საჭიროებებზე და ითვალისწინებს მთ შესაძლებლობებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..**
ტექნოლოგიები	მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება ინკლუზიურობა და სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს დააფიქსირეს, რომ მოსწავლისადმი მიდგომა ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ხდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების გზები და საშუალებებ ზოგიერთი საგნის კურიკულუმის ჩარჩოს თანდარული აქვს კომპლექსური დავალებებ შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნებების მკვიდრს წარმოდგენებს. რა აჩვენებს შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთა დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ ისინი იყენებენ სამიზნ

	ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს. კათედრა წარმოადგინა საბუნებისმეტყველო საგნების შეფასების სქემები. ◻სსმ მოსწავლეთა ინდ. ◻ამუშა გეგმებშიც მოცემულია ცხრილები მოსწავლეთა შეფასების შესახებ. სკოლამ ასევე წარმოადგინ შემაჯამებელი წერის ნიმუშები, ანალიზი და შეფასების სქემები. მასწავლებლებ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს პერიოდულად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებ და აძლევენ თვითშფასების საშუალებას. თავად მოსწავლეები ჯერ არ არიან ჩართულებ შეფასების კრიტერიუმების განხილვაში და ჩამოყალიბებაში. ◻ეფასების სქემები თანდართულ აქვს შემაჯამებელ დავალებებს. ◻ემაჯამებელი დავალებების განხილვამ მაჩვენა რო დავალებების უმეტესობა ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებაზეა ორიენტირებული. იშვია შემთხვევაში არის მაღალი სააზროვნო დონის დავალებები. წარმოდგენილი მასალებ მოსწავლეთა შეფასების შესახებ, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქ მზაობა მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნ ცნებებზე დაფუძნებით. *◻ჩევა-* გარკვეული პერიოდულობით მოხდეს მოსწავლეების ჩართვა შეფასების კრიტერიუმების განხილვაში და ჩამოყალიბებაში. ◻ს ხელს შეუწყობს რომ მოსწავლეებმა უკეთ გაიაზრონ მათ წინაშე დასახული ამოცანები და შეასრულონ დასახული კრიტერიუმების შესაბამისად. ◻ემაჯამებელი დავალებები გახადონ უფრო მრავალფეროვანი, შეარჩიონ აზროვნების მაღალი დონის შემოწმებაზე ორიენტირებული დავალებები. ◻რიფირებულ სახელმძღვანელოებში უხვად არის ამის ნიმუშები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრონციპები და ამოცანები. ამავე დოკუმენტში გვხვდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების აღწერილობა . მტკიცებულებად წარმოდგენილია რამოდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის , საფეხურის ფარგლებში

	შეფასებების წარმოების წესზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრასთან ჩატარებულმა ინტერვიუმ აჩვენა პედაგოგების მაღალი პროფესიული გამოცდილება და მზაობა, რომ შეფასების პროცესი მიზანმიმართულად ემსახურებოდეს გრძელვადიანი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას. აღნიშნული მიუთითებს სკოლის მზაობაზე, განახორციელოს შეფასება როგორც სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესის და კომპეტენციების განვითარებას. რჩევა-სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა საგანში, სამივე საფეხურზე შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ დავალებებთან შესაბამისი როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ იქნება გამოხატული კრიტერიუმების კავშირი სამიზნე ცნებებთან და ამავდროულად გათვალისწინებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრას აქვს სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკა, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კათედრაზე ეფექტურად იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს (დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება), რომელზეც დაკვირვებას აწარმოებენ მასწავლებლები მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. **რჩევა:** **1.** შეფასების კრიტერიუმები ეყრდნობოდეს არამარტო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებს, არამედ კონკრეტულ დავალებაზე იყოს მორგებული, რათა მარტივად აღსაქმელი იყოს მოსწავლისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძვნება გრძელვადიან მიზნებს. შეფასების კრიტერიუმები მორგებულია სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე. კარგია რომ კათედრაზე დამკვიდრებულია სოლოტაქსონომიაზე დაუძნებული განმავითარებელი შეფასების სისტემა. როგორც თავად აღნიშნეს ეს ეხმარებათ მათ მოსწავლეთა პროგრესის თვალსაჩინოებისთვის ; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა მუსიკა- დაწყებითი და საბაზო საფეხური:** სასურველია განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხის შესაბამისად;
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. გადმოგზავნილი დოკუმენტაციის გაცნობისა და ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სკოლას აქვს შეფასების სისტემის გაზიარების პრაქტიკა და მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს აცნობენ დავალების პირობის გაცნობისას. ამიტომ მოსწავლე წინასწარ არის ინფორმირებული, როგორ შეფასდება მისი ნაშრომი. სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი დავალების შეფასების კრიტერიუმებს თავად მოსწავლეები ადგენენ წინასწარ მომდევნო გაკვეთილისთვის (მაგალითად პრეზენტაციების დროს). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასების კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრებს

	დართული აქვს რუბრიკის მიხედვით გაკეთებული როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების შეფასების შესაძლებლობებას იძლევა, ისეთ კრიტერიუმებით, როგორიცაა ფიზიკური თვისებები, უსაფრთხოებისა და თამაშის წესების დაცვა, გუნდური მუშაობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის გაცნობიერება. მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..** **რჩევა:** სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე გაიწეროს თითოეული თემიდან გამომდინარე.
ტექნოლოგიები	შეფასების მეთოდები შეესაბამება ესგ მიზნებს. ოწოდებული დოკუმენტაცია და მასწავლებლების ინტერვიუ ცხადყოფს, რომ შეფასების მეთოდების შემუშავებისას ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება.

	რჩევა: სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედგები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- განვლილ სასწავლო წელს განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ამსახველი მასალა
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები
- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები
- თემატურად შესაბამისი კომპლექსური დავალებების იდეები
- საზოგადოებრი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმები
- შეფასების ინსტრუმენტები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები
- კომპლექსური დავალებები განმავითარებელი რუბრიკებით
- კომპლექსური დავალებების ბარათები და მატრიცები
- საზოგადოებრივი მეცნიერებები- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ანალიზი
- საზოგადოებრივი მეცნიერებები -მასწავლებლების პორტფოლიოები
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წლიური ანგარიში
- ინტერვიუ მასწავლებლებთან - რესურსების, შეფასების სისტემისა და სასწავლო საჭიროებების დეტალური ანალიზისთვის-საზოგადოებრივი მეცნიერებები კათედრა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში არსებული შუალედური მიზნები- კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად და სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები განსაზღვრავს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ მათ აქვთ გამოცდილება სწავლა-სწავლების პროცესი წარმართონ კომპლექსური ბუნების

	დავალებებზე დაფუძნებით. რაც იძლევა სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და საშუალებას მისცემს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების განხორციელების გზით შექმნან მრავალგვარი შემოქმედებითი პროდუქტები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ისეა აგებული რომ მოსწავლეები ჩაერთვებიან შემოქმედებით სასწავლო პროცესში, გამოთქვამენ ვარაუდებს, გააკეთებენ დასკვნებს, შექმნიან შემოქმედებით პროდუქტებს- პოსტერი, მოდელი, ვიდეო რგოლი და ნამუშევარს წარადგენენ კლასის წინაშე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ, სკოლის დათვალიერებამ (ვიდეო, ფოტოები) და წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ აჩვენა რომ სკოლაში არის პოზიტიური სასკოლო კულტურა, ღიაობა, პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებულობა. აბუნებისმეტყველო კათედრა ხელს უწყობს მოსწავლეების ჩართვას სასკოლო და საუნივერსიტეტო კონფერენციებში, ინოვაციების კონკურსებში. პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, სასკოლო პროექტები ეხმარება მოსწავლეებს შეძლონ გამოწვევების მიღება სასკოლო საქმიანობასა და ზოგადად ცხოვრებაში, უზრუნველეყოფს ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური თვითშეფასება. ოველივე ეს აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა მიმიდინარე სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესი წარმართოს კურიკულუმის შესაბამისად. ***რჩევა-*** საბუნებისმეტყველო კათედრას შეუძლია ცალკე დოკუმენტში წარმოდგენილი არაფორმალური განათლების აქტივობები (კონფერენციები, კონკურსები, კვლევები) გახადოს უშუალოდ კურიკულუმის ნაწილი, რაც ხელს შეუწყობს რომ სკოლამ წარმოაჩინოს საკუთარი ინდივიდუალობა კურიკულუმის მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამივე საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.საზოგადოებრივი მეცნიერებების სამივე

	საფეხურის კურიკულუმში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით თემების ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკაფიოდ ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობები სამიზნე ცნებებთან და თემასთან მიმართებაში შესაბამისია.შერჩეულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში სტანდარტით გათვალისწინებული თემები ისეა აგებული, რომ მოსწავლე ეცნობა შესასწავლ საკითხებს ძირითადი სახელმძღვანელოდან, დამატებითი წყაროებიდან და შერჩეული ელექტრონული რესურსებიდან. თითვეული სავალდებულო თემა ჯამდება შემოქმედებითი პროდუქტის იდეით, რომლის განხორციელება იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ შეასრულოს კონკრეტული აქტივობები და ბოლო ეტაპზე შეძენილ ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. აღნიშნული იძლევა იმის მტკიცებულებას, რომ მოსწავლე შეძლებს ცოდნის გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი თემები, საკითხები აქტივობები,შესაქმნელი პროდუქტი განაპირობებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. მათში აქცენტი გაკეთებულია ცოდნის კონსტრუირებაზე,წინარე ცოდნაზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის წარმართვაზე, ცოდნათა ურთიერთკავშირზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოივეთა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იქიდან გამომდინარე, რომ სწავლა-სწავლების პროცესი ცოცხალი გარემოა და შესაძლებელია საჭირო იყოს მცირედი ცვლილებები, ასეთის შემთხვევაში ყველაფერს ასახავენ კურიკულუმში შესაბამისი ფორმით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა სასწავლო პროცესს გეგმავს ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებულია თემების, სამიზნე ცნებების დამუშავება. თემები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებს, თემების შესაბამისად შესრულებულია შემაჯამებელი სამუშაოები, შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები შემუშავებულია სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. ეს კი შესაძლებლობას იძლევა სასწავლო პროცესი იყოს ეფექტური და განხორციელებული კურიკულუმის შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილი და შემუშავებულია კათედრის დონეზე და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ამის შესახებ მასწავლებლების ინტერვიუშიც გამოიკვეთა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ძირითადად ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე

	დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრიაპირველწოდებულის სახელობის სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. დავალებებზე მუშაობის პროცესში მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე. საჭიროებისამებრ ხდება გაკვეთილების დაწყვილება გადანაცვლება. დოკუმენტაციისა ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი ადაპტირდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და მდგომარეობის მიხედვით. პედაგოგები აქტიურად ცვლიან დაგეგმილ აქტივობებს, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი აზრისა და ცოდნის გამოხატვის სხვადასხვა ფორმით, რაც ზრდის მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სკოლა ითვალისწინებს მასწავლებლების გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს, რაც უწყობს ხელს გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას და სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი შეფასების სისტემა დაფუძნებულ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებებ მიხედვით შედგენილი სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი დ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შეფასების რუბრიკების წარდგენა დ დამტკიცება ხდება საგნობრივ კათედრებზე. შეფასების რუბრიკებს მასწავლებლები ზოგიერ შემთხვევაში აცნობენ მოსწავლეებს უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში. შეფასების სისტე ცნობილი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას აქვს მზაობა, სწავლ

	სწავლების პროცესში გამოიყენოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური შეფასებ სისტემა. *რჩევა-* სისტემატიურად გააცნონ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები, რადგან ეს მათ დაეხმარებათ იცოდნენ რა არის წარმატებული შედეგი. თავად მოსწავლეებიც ჩართონ მათ შემუშავებაში. ასევე სასურველია მშობელთა კრებებზე მშობლებთან განიხილონ შეფასების სისტემის მიდგომები და პრინციპები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან , შეფასების რუბრიკებიდან , მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში კათედრაზე გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი (სიტყვიერი-ზეპირი კომენტარი, რუბრიკა)მოსწავლეებმა წინასწარ იციან თუ რის მიხედვით ფასდებიან, რადგან ისინი თავადაც მონაწილეობენ შეფასების პროცესში. შესაბამისად , საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. შეფასება ხდება სისტემატურად და გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი, თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ ისინი შეფასების ინსტრუმენტის შერჩევისას ითვალისწინებენ როგორც საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს, ასევე მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე შემუშავებული შეფასების პრინციპებში ჩანს,რომ კათედრის მიზანია შეიმუშავოს შეფასების ისეთი გამჭვირვალე და მოქნილი სისტემა, რაც განაპირობებს შეფასების სისტემის სანდოობას, ვალიდურობასა და გამჭირვალობას. წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა-მუსიკა ხელოვნება- სამივე საფეხური:** სასურველია განმსაზღვრელი შეფასებების ინსტრუმენტში მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე, თუ შესაქმნელ პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი. განმავითარებელ შეფასებების რუბრიკებში კი დეტალურად აღიწეროს ის , რისი შეფასებაც გაქვთ განზრახული;
სახელმწიფო ენა	როგორც დოკუმენტებიდან, ისე გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ენის კათედრა მოსწავლეებს სთავაზობს შეფასების სისტემას, რომელიც არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ამ ყველაფრის უზრუნველსაყოფად პედაგოგები მოსწავლლებს დავალებების პირობის გაცნობისთანავე აწვდიან შეფასების კრიტერიუმებსაც და წინასწარ თანხმდებიან იმ ძირითად ფორმაზე, რომლითაც შემდეგში მათ ნაშრომს შეაფასებენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. დავალებებს ახლავს შეფასების კრიტერიუმები, შემაჯამებელ დავალებებსა და შეფასების რუბრიკებში მითითებულია სამიზნე ცნებები და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები.

	ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის. წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრაებს ახლავს შეფასება, რომელიც გაკეთებულია რუბრიკის მიხედვით, არის როგორც განმავითარებელი უკუკავშირი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. **რჩევა: ყველა საფეხურზე** რეიტინგული წერის ტესტებში მიეთითოს ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით. მოსწავლეებს აცნობენ თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება ფესტივალებზე მათი შედეგები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის რუბრიკები, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლის მიერ მოწოდებულ რუბრიკებში ნათლად იკვეთება ყოველივე ეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. წარმოდგენილია თითოეული მოსწავლის წარმატების ამსახველი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც ითვალისწინებს სტანდარტი შედეგებს, ასევე - სოლო ტაქსონომიის დონეებზე დაფუძნებული რუბრიკები.

	რჩევა: სასურველია, აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს რეგულარულად ეცნობება მშობელს მოსწავლის შეფასების შესახებ, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ. კათედრების სხდომებზე ანალიზდება დავალებები. შეფასების კუთხით, მშობლებთან დამყარებულია აქტიური უკუკავშირი თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა უზრუნველჰყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. სკოლაში ვიზიტის დროს სკოლას შენახული ჰქონდათ მოსწავლეთა შედეგების აღრიცხვა და შემაჯამებელი სამუშაოები საგნობრივი კათედრების მიხედვით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ნამუშევრები
- კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები

- ვერიფიკაციის წესი
- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებს რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი
- კათედრის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- თვითშეფასების კითხვარი
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები/მასალები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის სამივე საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრულია სასწავლო მასალის ჩამონათვალი, მათ შორის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო რესურსები. სკოლას აქვს სათანადო რესურსებით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია . კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რესურსები, მათ შორის ელექტრონული. რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შეტანას, მოტივაციის

	ამღლებას და ახალი საკითხების ათვისებას. თუ საკითხის შესასწავლად არ არის კომპლექსური დავალება, მაშინ რესურსების შესაბამის გრაფაში მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული. კათედრის მიერ მოწოდებული მასალები და მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. *რჩევა-* ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. შესაბამისად როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის კურიკულუმის ჩარჩოს და ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგანმანათლებლო რესურსები (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები) თუმცა, როგორც დოკუმენტაციიდან (კათედრის ოქმიდან) ასევე გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები და მოსწავლეები აქტიურად იყენებენ სკოლაში არსებულ წიგნად ფონდს და სხვა მატერიალურ თუ ელექტრონულ რესურსებს. სკოლაში ხდება რესურსების იდენტიფიცირება და ეფექტურად გამოყენება, რომელიც ემსახურება სწავლისა და სწავლების ხარისხის პოზიტიურ მიღწევებს, წარმოდგენილი დამატებითი რესურსები ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო რესურსი განსაზღვრულია უშუალოდ საგნის მასწავლებლების მიერ, რომლებსაც აქვთ არამარტო საგნობრივი ცოდნა არამედ იცნობენ კონკრეტულ კლასებს, იციან მათი

	ინტერესის სფერო და ასაკობრივი თავისებურებები, რომლის გათვალისწინებითაც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას ძირითადი და დამხმარე რესურსების არჩევისას სასწავლო წლის დასაწყისში და კოლაბორაციაში მოყავთ სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო თემებთან, სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან და შესაქმნელ შემოქმედებით პროდუქტთან. შესაბამისად, კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის აქტიური გამოიყენება ხდება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. **რჩევა:** უმჯობესია, დამხმარე სასწავლო რესურსი იყოს მრავალფეროვანი და ყველა კლასის კურიკულუმში სრულყოფილად გაწერილი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით. ამასთან ერთად გამოიყენება სხვადასხაგვარი რესურსების მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მაგ. ინტერნეტ რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, კომპიუტერი, პროექტორი, პლაკატები, მასწავლებლები აქტიურად მიმართავენ სხვა დამატებით რესურსებსაც, როგორებიცაა მასწავლებელთა სახლისა და განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული დამხმარე მასალები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლას აქვს სახელმწიფო ენის კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში, რესურსებისთვის განკუთვნილ ველში საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალია ძირითადი და დამხმარე რესურსების სიის. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე რესურსებს, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში და საკუთარი მიღწევების კიდევ უფრო გაუმჯობესებაში.

	რჩევა: კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში ცალკე სვეტად არის გამოყოფილი რესურსები, თუ კი ეს სვეტი იქნება წარმოდგენილი, სასურველია რომ სრულყოფილად იყოს შევსებული. ძირითად რესურსში სახელმძღვანელოს სახლთან ერთად მითითებული უნდა იყოს გვერდები შესაბამისი თემის. ვიდეო რგოლებისა და ელექტრონული რესურსების შემთხვევაში აუცილებელია მითითებული იყოს შესაბამისი ლინკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო რესურსების ნაწილი შეტანილია კურიკულუმში, ასევე წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ნუსხა. სკოლის მიერ გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება საგნის თემატიკას და ხელს უწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. სკოლას ეძლევა **რჩევა, ყველა საფეხურზე** კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად, პრაქტიკული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში არსებულ და კურიკულუმით ასახულ თემებში გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებს და სპორტულ ინვენტარს შესაბამისი გამოყენება აქვს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ყველა რესურსი, თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია და დამხმარე ტექნიკა. მასწავლებლების ინტერვიუ ადასტურებს,რომ სკოლის ხელთ არსებული რესურსი და ასევე ინტერნეტ რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი მატერიალური, აუდიო და ვიდეო რესურსები **რჩევა:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის სამივე საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრულია სასწავლო მასალის ჩამონათვალი, მათ შორის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო რესურსები. სკოლას აქვს სათანადო რესურსებით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ასევე ვირტუალური ლაბორატორია, სათანადო დამხმარე და მეთოდური ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ ყველა რესურსი სანდოა და ეფუძნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და პედაგოგიკის მეცნიერების საფუძვლებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად სარგებლობენ როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, ისე სხვადასხვა დამატებითი და დამხმარე რესურსებით. აღნიშნული რესურსების შერჩევა და ვალიდაცია

	ხორციელდება კათედრაზე, სადაც ტარდება მათი განხილვა და მოწმდება შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კათედრაზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, თუ რამდენად უწყობს ხელი თითოეული რესურსი მოსწავლის მიერ სტანდარტში განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მიღწევას. რესურსების შერჩევის პროცესში გათვალისწინებულია ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირებულობა, ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების პატივისცემა, სწავლების დიფერენცირება და მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების განვითარების ხელშეწყობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	□ცხოური ენების □ათედრაზე ურთიერთშეთანხმებულად ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების არჩევა/გამოყენება. აღნიშნული რესურსები მოიცავს ასაკის მიხედვით შერჩეულ დამხმარე ლიტერატურას, მასწავლებლების მიერ წინასწარ შერჩეულ ელექტრონულ რესუსრსებს თემებთან მიმართებაში და მასწავლებლის წიგნში მითითებული დამატებითი რესურსს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ძირითად რესურსებთან ერთად უზრუნველყოფილია დამხმარე რესურსით.რესურსების შერჩევა ხდება კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლაში სახელმწიფო ენის კათედრა სწავლა-სწავლების პროცესში სახელმძღვანელოებთან ერთად იყენებს დამხმარე რესურსებს,, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მაგრამ დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის წესის შემუშავებით კიდევ უფრო სისტემატიზირდება რესურსების ბაზა კურიულუმებთან კავშირში.

	რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს, წესი დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდირების მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა კათედრაზე ხორციელდება, შერჩევისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები, მოსწავლის ასაკობრივი და განვითარების დონე. რასურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით საგნის პროგრამას, ეფექტურია და ეხმარება სწავლების პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ურთიერთშეთანმებულად ხდება კათედრაზე. სასწავლო რესურსის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესები და საჭიროებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..**
ტექნოლოგიები	სკოლა სწავლის პროცესში ელექტრონული სახელმძღვანელოს გარდა იყენებს შემუშავებულ რესურსებს, ელექტრონული და მატერიალური სახით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა შეთანხმებულად, დაწყებითი კლასების კათედრაზე, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის დოკუმენტაციის შესწავლამ, სკოლის დათვალიერებამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მოსწავლეებს თანაბრად შეუძლიათ გამოიყენონ საჭირო რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის დოკუმენტაციის შესწავლამ, გარემოს დათვალიერებამ და პედაგოგებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური ბაზითა და რესურსებით. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა რაოდენობის ზღვრულ მაჩვენებელს, რაც ქმნის თანაბარ პირობებს ყველა მოსწავლისათვის საჭირო რესურსების გამოყენების თვალსაზრისით. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, სამივე საფეხურზე, კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მიღწევა ხორციელდება სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით. სკოლას გააჩნია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკლასო ოთახები, აღჭურვილი აუცილებელი ინვენტარითა და ციფრული ტექნოლოგიებით, რომლებიც ეფექტურად ემსახურება სასწავლო მიზნებს და ხელს უწყობს სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული

	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მოსწავლეებს თანაბრად შეუძლიათ გამოიყენონ საჭირო რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	საგაკვეთილო პროცესში თითოეული მოსწავლე უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსით, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლაში სახელმწიფო ენის სწავლებისათვის უზრუნველყოფილია შესაბამისი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი ამ ეტაპზე სრულად აკმაყოფილებს მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი (ფიზიკური ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, დამატებითი სასწავლო რესურსები) და რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა საკმარისია კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ძირითადი და დამხმარე რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ეფექტურობას, მოტივაციის ამაღლებას და სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სკოლაში არსებული სპორტდარბაზი, სპორტული ინვენტარი საკმარისია მოსწავლეების რაოდენობის გათვალისწინებით სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი სწავლის შედეგების მისაღწევად. აღნიშნული იკვეთება სკოლის თვითშეფასების ფორმაშიც, მათ შორის ადასტურებენ საგნის მასწავლებლებიც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები (სამივე საფეხურის)

- რამდენიმე კომპლექსური დავალების დანართი.
- დებულება-სასწავლო რესურსებით სარგებლობის შესახებ
- ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების და ელექტრონული ბმულების ნუსხა
- კათედრის ოქმები;
- საგანმანათლებლო რესურსები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სპორტული ინფრასტრუქტურა და ინვენტარი
- სკოლის თვითშეფასება
- მასწავლებელთა სტატუსი/კვალიფიკაცია
- დავალების შეფასების ნიმუშები
- განხორციელებული პროექტები
- კომპიუტერული ტექნიკა
- *თემატური მატრიცა*
- განვლილ სასწავლო წელს განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი მასალა
- განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი დამატებითი აქტივობები და შემოქმდებითი დავალებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ: შემუშავება, ფორმა, პერიოდულობა, განვითარება, და ა.შ. ასევე, პირები, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული მონიტორინგის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია მონიტორინგის პროცესი, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, რაც აუცილებლად აჩვენებს სკოლას გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებსა და შესაძლებლობებსაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერითა და დახმარებით. ყველა მასწავლებელთან თანამშრომლობით შექმნილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების

დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგის განხორციელებისას მკაფიოდ განისაზღვრება საჭიროებები და დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები და საშუალებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კათედრების ანგარიშები;*
- *კათედრის სხდომის ოქმები;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ეყრდნობა როგორც მოხსენებებსა და ანგარიშებს, ასევე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციას, აკვირდება მათი მიღწევების დინამიკას. სკოლის თანამშრომლებმა აღნიშნეს სკოლაში პერიოდულად იმართება კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან შეხვედრები, რომლებიც მსჯელობენ მოსწავლეების მიღწევებზე, ძლიერ და სუსტ მხარებზე და სახავენ სამომავლო გეგმებს პრობლემების აღმოსაფხვრელად. მართალია ეს შეხვედრები დოკუმენტში გაწერილი არ არის. სამომავლოდ სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა როგორც მასწავლებელთა თვითშეფასებას, ასევე მოსწავლეთა უკუკავშირებს და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფების უკუკავშირებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლა მუშაობას აფასებს როგორც აკადემიური საათების და აკადემიური მოსწრების მიხედვით, ასევე ითვალისწინებს დამატებით მუშაობას, ღონისძიებებს, მშობელთა და მოსწავლეთა განწყობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემების მიზნობრივ შეგროვებას და ამ მონაცემების ანალიზს. მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

ვიზიტის დროს დირექციის წევრებმა აღნიშნეს, სკოლაში მნიშვნელოვანია მოსწავლის შეფასებისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების შესწავლა და გათვალისწინება. შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი,

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;*
- *კათედრების ოქმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

○ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

წლის განმავლობაში კათედრების შეხვედრებზე პედაგოგები უზიარებენ გამოცდილებას საგაკვეთილო პროცესსა თუ წერებში გამოვლენილი საჭიროებებისა და პრობლემების შესახებ, რაც შემდეგ აისახება მომავალი სასწავლო წლის განახლებულ კურიკულუმებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

მასწავლებლებთან საუბრისას აღინიშნა, რომ სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ზრუნავს კურიკულუმების გადამუშავებასა და განახლებაზე. ადამუშავებისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, მონიორინგსა და შეფასების ელემენტებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კათედრების ანგარიშები;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 04.11.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ნოდარ ანგურიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ნათია ბრეგაძე

თამარ ჩხიკვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მზია მახაჭაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ქეთევან ბერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლამარა დარახველიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნათია ქოქუაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).